საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 1 ივლისი. 2020 წ. №81 (9007) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვინ გვიხსნის გვარამიას ჯოჯოხეთისგან?!

„რატომ გვკლავს მეორედ ეს ბოროტი ადამიანი თავისი პოლიტიკური შიზოფრენიის გამო?!“ ③

გიორგი შაქარაშვილის ბიძა ნიკა გვარამიას მიმართავს

„შავი არქეოლოგია“ ოკუპირებულ ტერიტორიაზე

როგორ ძარცვავდა რუსული ფირმის გენერალური დირექტორი სამარხებს ⑧

რა ახალი წესები ამოქმედდება ევროკავშირში შესვლის მსურველი ავია-მგზავრებისთვის ④

რას უპირებს ბიძინა ივანიშვილი იპოდრომს?!

თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკრეაციული სივრცე — იპოდრომი გაიყიდა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში „ევროპული საქართველოს“ წევრი ირაკლი აბესაძე წერს.

„იპოდრომი გაიყიდა. გამყიდველი — ბიძინა ივანიშვილი (შპს „ინვესტ კაპიტალი“) , მყიდველი — ბიძინა ივანიშვილი (ფონდი „ქართუ“), ფასი — 60 მილიონი.იპოდრომის აღორძინება უნდა და ძველი კომპანია ვერ იზამდა? ფული გაათეთრა? საარჩევნოდ ფულის მობილიზება გააკეთა? ფონდ„ ქართუს“ მიწის საყიდლად ფული თვითონ მისცა, ოფშორულმა კომპანიამ თუ სხვამ“.

ძველი იპოდრომის ტერიტორიაზე შექმნილ მძიმე ვითარებაზე „კომერსანტი“ ხშირად წერდა. თემაზე მუშაობის დროს ვნახეთ, რომ მიტოვებული იპოდრომის ინფრასტრუქტურა — ნანგრევებად, რეკრეაციული ზონის ნაწილი კი ნაგავსაყრელად იყო ქცეული. რეკრეაციულ ზონაში სადაც ხშირად არასრულწლოვნებიც ერთობიან, საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად შეხვდებოდით კუსტარულად დამზადებულ მარიხუანას მოსაწევ ბოთლებს, გამოყენებულ შპრიცებს და ა.შ.

ძველ იპოდრომთან დაკავშირებით **მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის პრეზიდენტი თემურ ტყემალაძე** ამბობდა, რომელიც მთაწმინდის ფერდის გამწვანების პროექტზე მუშობს:

„იპოდრომთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი დიდი ხანი ფიქრობს და მგონი რაღაცას ამზადებს. ვიცი, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე არსებული გამწვანება დარჩება, ხოლო განადგურებული ნაწილი აღდგება. წინა პერიოდში გასხვისებულმა ტერიტორიამ დაანგრია იპოდრომი, თორემ ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში რა ტერიტორიაცაა, ის ამ დრომდე ხელუხლებელია. ამ ადგილზე ხელის ხლება როგორ შეიძლებოდა, ეს არის თბილისის გული. ქალაქის ფილტვები იყო და გულზე ვარ გახეთქილი დღეს არსებული სიტუაციით, ყველგან რაღაცას აშენებენ, ამას ბოლო უნდა მოვუღოთ, ესე არ შეიძლება, რადგან თბილისი არის ხეობა და ამ ზოლის დაცვას ითხოვს. იქ აშენებული ესტაკადის გამო იპოდრომის ტერიტორია გახდა ყველაზე დაბინძურებული ადგილი. ამ ტერიტორიაზე მშენებლობა უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ დააქუცმაცეს ეს ადგილები და ეს ფრაგმენტაცია არის დამღუპველი ყველასთვის“....

პოლიტიკური სპეკულაციები საქველმოქმედო პროექტების განხორციელებას ხელს ვერ შეუშლის!

ფონდი „ქართუ“ იპოდრომთან დაკავშირებით განცხადებასავრცელებს.

„საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ ეხმაურება რამდენიმე მედიასაშუალების მხრიდან ხელოვნურად წარმოქმნილ აჟიოტაჟს თბილისის ყოფილ იპოდრომთან დაკავშირებით, რომლის მიზანი, ჩვენი აზრით, ფონდის და მისი დამფუძნებლის მიმართ არაჯანსაღი საზოგადოებრივი განწყობების შექმნაა.

მოგეხსენებათ, ფონდი „ქართუ“, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და შემომწირველი ბიძინა ივანიშვილის ოჯახია, 20 წელზე მეტია საქართველოს კანონმდებლობის განუხრელი დაცვით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ფუნქციონირებს.

ამ დროის მანძილზე, ფონდის ხელშეწყობით ასეულობით საქველმოქმედო პროექტი განხორციელდა და პოლიტიკურად მოტივირებული ჯგუფების გარდა, მის საქმიანობასთან დაკავშირებით შეკითხვები არავის გასჩენია.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ფონდის საქმიანობა აბსოლუტურად გამჭვირვალეა და ეს ფაქტი, მსოფლიო ბანკის მიერ „დიდ ოთხეულად“ რანჟირებული, უმაღლესი საერთაშორისო სანდოობის აუდიტორული კომპანიების ყოველწლიური ანგარიშებით არის დადასტურებული.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე აჟიოტაჟის ინიციატორი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები თავადვე აცხადებენ, რომ მათ მიერ ინიცირებულ, უსაფუძვლო კითხვებზე პასუხის გაცემის ვალდებულება ფონდს არ გააჩნია, თუკი ვინმეს დარჩა დამატებითი კითხვები ფონდში აკუმულირებული თანხების წარმომავლობასა და განკარგვასთან დაკავშირებით, საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა და შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

დასასრულ, ხაზგასმით გვინდა, განვაცხადოთ, რომ ვერანაირი აჟიოტაჟი და პოლიტიკური სპეკულაციები ვერ შეუშლის ხელს ქართული სახელმწიფოსა და ხალხის მხარდასაჭერად ფონდის მიერ სამომავლოდ დაგეგმილ და მიმდინარე საქველმოქმედო პროექტების განხორციელებას“!..

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 3 ივლისს

ირაკლი ღარიბაშვილი კელი დეგნანს შეხვდა

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს კელი დეგნანს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა კელი დეგნანს თავდაცვის ძალების განვითარების გრძელვადიანი გეგმა გააცნო, რომელიც ითვალისწინებს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას, შეიარაღების მოდერნიზაციას, ტერიტორიული თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკაზე ორიენტირებული წვრთნების ზრდას, საჰაერო თავდაცვისა და ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების გაძლიერებას, ტოტალური თავდაცვის პოლიტიკის განხორციელებასა და სამხედრო ინდუსტრიის განვითარებას.

შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე, როგორიცაა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), მზარდი საგარეო დაფინანსება (F-MF) და ერთობლივი წვრთნები. ასევე, განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ქართველი სამხედროების წვლილი. საუბარი ასევე შეეხო საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვის სფეროში დაგეგმილ ორმხრივ კონსულტაციებს (BDC). თავდაცვის მინისტრთან შეხვედრაზე კელი დეგნანმა საქართველოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე წარმატებული რეფორმების მხარდაჭერა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის მზადყოფნა გამოხატა.

კენეტ იალოვიჩი:
იმედგაცრუებული ვარ ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილებით

მე არ ვირჩევ მხარეს, როცა საქმე საქართველოში მიმდინარე პროცესებს ეხება, მე მხოლოდ დემოკრატიის წახალისებას ვცდილობ და არც ერთ მხარეს არ ვადანაშაულებ, — ამის შესახებ 1998-2001 წლებში აშშ-ის ელჩმა საქართველოში კენეტ იალოვიჩმა განაცხადა.

„უნდა გითხრათ, რომ გამიხარდა, როდესაც საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადება ვნახე. რა თქმა უნდა, მცირედით იმედგაცრუებული ვარ ოპოზიციური პარტიების წევრების გადაწყვეტილებით, რომ კენჭისყრის პროცესს ბოიკოტი გამოუცხადეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აზრს არ შეიცვლიან მომავალში და არ იქნება დიალოგი „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ამ ვითარების გადასალახად“, — აღნიშნა კენეტ იალოვიჩმა.

მაიკლ კარპენტერი:
საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებებს კონგრესის ორივე პარტიის მხრიდან დადებითი შეფასებები მოჰყვა



ბაიდენის ცენტრის დირექტორმა მაიკლ კარპენტენმა „ქრონიკასთან“ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებებს უკვე მოჰყვა დადებითი შეფასებები კონგრესის ორივე პარტიის მხრიდან.

„მიღებული ცვლილებები დადებითად იქნება აღქმული კონგრესში ორივე პარტიის მიერ. ის შექმნის უფრო წარმომადგენლობით სისტემას. ამერიკელი პოლიტიკოსების უმრავლესობა, რომლებიც საქართველოს მეგობრები არიან კონგრესში, ამ ცვლილებების მიღებისკენ მოუწოდებდნენ მხარეებს და ვფიქრობ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათი მხრიდან მისასალმებელი იქნება“, — განაცხადა მაიკლ კარპენტერმა.

პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭი მესამე მოსმენით უყარა და დაამტკიცა. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 117-მა დეპუტატმა, 3-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა. რეგისტრაცია გაიარა 120-მა დეპუტატმა. კენჭისყრაში „ნაციონალური მოძრაობა“ და ევროპული საქართველო“ არ მონაწილეობდნენ.

ვახტანგ გომელაური:
თუ მშობელს აქვს ორმაგი მოქალაქეობა, შვილს ვერ დავტოვებთ სხვა ქვეყანაში

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური სოციალურ ქსელში საქართველოს საზღვრების გახსნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მინდა, ვაცნობო საზოგადოებას, რომ საზღვრები დაკეტილია ყველა მიმართულებით, მათ შორის რუსეთთან“, — აღნიშნა გომელაურმა. მისი თქმით, საზღვარი გახსნილია მხოლოდ მაშინ, როცა შემოდის საქართველოს მოქალაქე და ყველა მათგანი მიდის კარანტინში. **„ესენი არიან ძირითადად ისინი, რომელთაც აქვთ ორმაგი მოქალაქეობა. ვიზიტორებს შორის არიან რუსეთის მოქალაქეები, რომელთაც ჰყავთ ორმაგი მოქალაქეობის მქონე შვილები, მეუღლეები. მათი შეჩერების უფლება ჩვენ არ გვაქვს. თუ მშობელს აქვს ორმაგი მოქალაქეობა, შვილს ვერ დავტოვებთ სხვა ქვეყანაში. თუმცა მას ხშირ შემთხვევაში არ აქვს ჩვენი მოქალაქეობა. ამიტომ გავრცელდა სოცქსელებში ინფორმაცია, რომ დადიან რუსული ნომრებით და გადაადგილდებიან რუსეთის მოქალაქეები“,** — აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

რუსეთის მოქალაქეები საქართველოში ლეგალურად არიან!

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განმარტა, თუ რატომ იმყოფებიან საქართველოში რუსეთის მოქალაქეები. მან ამის შესახებ განცხადება გუშინ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

„საქართველოში კორონავირუსის დაწყების შემდეგ რუსეთის ბევრი მოქალაქე დარჩა. ისინი არ ტოვებენ ქვეყანას და უფლება აქვთ იყვნენ, რადგან ლეგალურად არიან. მათ საქართველოში ყოფნის უფლების ვადა არ გათავებიათ. აქედან გამომდინარე, მათ ქვეყნიდან იძულებით ვერ გავუშვებთ“, — განმარტა გომელაურმა. მისი თქმით, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველომ საზღვრები გახსნა, მათ შორის რუსეთთან. მინისტრის განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია სიცრუა.

ნათია თურნავა:
ამორალურია იმაზე საუბარი, ფონდ „ქართუს“ საიდან აქვს სახსრები

ამორალურია იმაზე საუბარი, თურმე ფონდ „ქართუს“ საიდან აქვს სახსრები, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. **ძალიან კარგად იცის ყველამ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი არიან ერთადერთი, მთავარი ბენეფიციარები, შემომწირველები „ქართუ“ ფონდის, უზარმაზარი ქველმოქმედება აქვთ „ქართუ“ ფონდის მეშვეობით განხორციელებული, 3 მილიარდზე მეტი, რაც საერთაშორისო აუდიტით არის დადასტურებული. ძალიან გთხოვთ, ბნელ ოთახში კატას ნუ ეძებთ!** — განაცხადა ნათია თურნავამ.

ამირან გამყრელიძე:
ქვეყანაში ეპიდსიტუაცია სრულიად კონტროლირებადია!

ქვეყანაში ეპიდსიტუაცია **სრულიად კონტროლირებადია და ემორჩილება მართვას,** — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი განმარტებით, დღეისთვის საქართველოში გამოჯანმრთელების მაჩვენებელი 86%-ია, კლინიკებში კი 119 კოვიდინფიცირებული რჩება. მისივე თქმით, ქვეყანაში კარანტინის რეჟიმი რჩება.

„ყველა შემოსული ადამიანისთვის 2-კვირიანი კარანტინი სავალდებულოა, შესაძლებელია, იყოს გარკვეული გამონაკლისი თვითიზოლაციისა, როდესაც ვთქვათ არის ოჯახი“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ორშაბათიდან გამოფენებისა და კონფერენციების მოწყობა ნებადართული იქნება

სავარაუდოდ ორშაბათიდან გამოფენები გაიხსნება, ასევე განახლდება ტრენინგები და კონფერენციები — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„დღეს ვიმსჯელეთ გეგმაზომიერაად, კიდევ არის დარჩენილი ბიზნეს საქმიანობები, რომელზეც შეზღუდვები ვრცელდება და სხვადასხვა ბინზეს საქმიანობის გარკვეული რაოდენობა დიდი ალბათობით, უკვე ორშაბათიდან დაშვებული იქნება. ეს არის გამოფენები, საგამოფენო საქმიანობა, ტრენინგები, კონფერენციები სასტუმროებში. იცით, რომ საკმაოდ დიდი მოთხოვნა არის მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვიზიტორები მოგვაკლდა, მაგრამ ჩვენი მოქალაქეებისთვის, სხვადასხვა ორგანიზაციის ეგიდით მოთხოვნა იყო ტრენინგების, კონფერენციების, საქმიანი შეხვედრების ჩატარების, ვიმსჯელეთ და მალე ეს მოთხოვნა, რომელიც მოდის სასტუმროებიდან, საკმაოდ რაციონალური და სამართლიანია. რა თქმა უნდა, ეს წესებიც დაცვით მოხდება. პრაქტიკულად, ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს შესაბამისი პროტოკოლი, მცირე დაზუსტება დასჭირდება და მალე ეს ყველაფერი გამოქვეყნდება. ამ უსაფრთხოების პროტოკოლის დაცვით, ეს საკმაოდ კარგი გადაწყვეტილება იქნება ერთი მხრივ, რომ არ შეწყდეს ტრენინგ-პროგრამა და მეორე მხრივ, დავეხმაროთ ჩვენს სასტუმროებს, მათ არ დაკარგონ შესაძლებლობა, რომ მოემსახურონ ასეთ ღონისძიებებს.

ვინ გვიხსნის გვარამიას ჯოჯოხეთისგან?!

„რატომ გვკლავს მეორედ ეს ბოროტი ადამიანი თავისი პოლიტიკური შიზოფრენიის გამო?!“

გიორგი შაქარაშვილის ბიძა ნიკა გვარამიას მიმართავს

„ისევ გულისტკივილით და შენზე ფიქრით (მენანები გულწრფელად) დამძიმებულმა მინდა, ვუთხრა საზოგადოებას, რას აკეთებდა მთავარი არხი ეს დღეები, მაშინ როდესაც, როგორც თქვენ ბრძანეთ — მე ბავშვის სულს ვყიდდი და „კონვერტების მიტან-მოტანით თუ საპარლამენტო სიაში მოხვედრით“ ვიყავი დაკავებული (თუ როგორც იყო, აღარ მახსოვს)“, — ამის შესახებ გარდაცვლილი ფეხბურთელის ბიძა მირიან ნიკოლაძე სოციალურ ქსელში წერს.

> „მიუხედავად ჩემი მძიმე ემოციური მდგომარეობისა, რასაც თან დაერთო გაუსაძლისი რეჟიმიც ჩემი გიორგის საქმიდან გამომდინარე, ვცდილობ, მშვიდად დავაკვირდე საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, ჟურნალისტებს, სამართალდამცავებს, მათ ქცევებს და დამოკიდებულებებს. რატომ ვაკეთებ ამას, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე ხდება.
>
> საბოლოო ჯამში, ჩემი სამსახურიდან მორიგი ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ სწორედ მთავარი არხის ჟურნალისტს ვუთხარი, რომ არ მჯეროდა, თუ იარსებებდა საქართველოში თუნდაც ყველაზე ცივსისხლიანი ადამიანი, რომლისთვისაც გიორგის ტრაგედია, როგორც მინიმუმ, „სულერთი“ იქნებოდა.
>
> ამთავითვე ვიტყვი, შემიძლია, საჯაროდ დავიფიცო, რომ სიბრალულის გრძნობის გარდა არანაირი განცდა არ მაქვს, ვერაფრით ვერ ვიგებ, რატომ შეიძლება ადამიანი იყოს ასეთი უბედური, არა ისეთი, როგორიც დღეს ჩვენ — გიორგის ოჯახი ვართ ტრაგედიის გამო, არამედ არსით და ბუნებით.
>
> ერთ დროს ჩემო მეგობარო და შემდგომ ჩემს მიერვე გულნატკენო ადამიანო, ორი რამ მინდა გითხრა, როგორც შვილების მამას და როგორც იურისტს:
>
> 1. მიზანი, რომ მირიან ნიკოლაძის მიმართ საკუთარი ძმის (რა მნიშვნელობა აძვს, ბიძაშვილის) ოჯახში გაჩნდებოდა უნდობლობა, არ გამოვიდა. შემიძლია, გარდაცვლილი ბავშვის მშობლების მოსაზრება გითხრა სრული ციტატით: „რატომ გვკლავს მეორედ ეს ბოროტი ადამიანი თავისი პოლიტიკური შიზოფრენიის გამო?!“
>
> 2. მსგავსი ზედაპირული კეკლუცობის, საძმეში ჩაუხედაობის და უშინაარსო ბლუყუნის შემდეგ (ნუ მიწყენს იძ მჯდომი ჩემი კოლეგა), ჩვენ, თავის დროზე, მთელ საგამოძიებო ჯგუფს ვუშვებდით სახლში, რათა სხვა სისხლის სამართლის საძმე აღარ დაეღუპა თავისი არაკვალიფიციურობით. მესმის, რომ სისხლის სამართლის საძმის სპეციფიკაში ჩაუხედავი საზოგადოება თძვენი ინფანტილური წიაღსვლების მძევალია, მაგრამ რა ვუყო.
>
> მე და ბავშვის ოჯახმა გავიგეთ, რომ ჩემზე მეტად გიყვარდა გიორგი, გავიგეთ, რომ ჩემზე მეტად ერთგული ხარ ჩვენივე საკუთარი ოჯახის, გავიგეთ, რომ სისხლის სამართლის ვირტუოზი ბრძანდები, მაგრამ ერთი რამ ვერცერთმა ვერ გავიგეთ, სლუკუნით და ცრემლების ღვარღვარით დაწყებული გადაცემა რატომ უნდა მთავრდებოდეს პოლიტიკური მოწოდებებით.
>
> ისევ გულისტკივილით და შენზე ფიქრით (მენანები გულწრფელად) დამძიმებულმა მინდა, ვუთხრა საზოგადოებას, რას აკეთებდა მთავარი არხი ეს დღეები, მაშინ როდესაც, როგორც თქვენ ბრძანეთ- მე ბავშვის სულს ვყიდდი და „კონვერტების მიტან-მოტანით თუ საპარლამენტო სიაში მოხვედრით“ ვიყავი დაკავებული (თუ როგორც იყო, აღარ მახსოვს). რას აკეთებდა და ჯერ ბავშვის დაღუპვის ამბავი არც კი ვიცოდით (ანუ მეორე დღესვე), ჯერ მდინარის კალაპოტში დაკაწრულები და გამწარებულები დავეხეტებოდით, როდესაც ამ არხის ჟურნალისტების პირველი კითხვა იყო: „ბატონო მირიან, ამბობენ, რომ პოლიცია და მაშველები არაფერს აკეთებენ გიორგის გადასარჩენად. ამბობენ, რომ თქვენ ხართ უკმაყოფილო სახელმწიფო ორგანოების მოქმედებით“ (ნუ მიწყენენ, მე მესმის მათიც). დიახ, პატივცემულო, ასე იყო. გამორთული კამერებით თავდასხმები მხოლოდ ერთი ფრაზის გამო — რამენაირად ვინმე გაგველანძღა, არც ბავშვი გაინტერესებდათ და არც ოჯახი (ეს ყველა იქ მყოფი ჭირისუფლის მოსაზრებაა, რომელზედაც ყოველდღიურად ძალადობდნენ).
>
> შემდეგში იყო თქვენს არხზე ჩემი პირდაპირი ეთერი, საიდანაც ასევე ვერაფერი გამოვიდა, სადაც ძალიან ადამიანური და კეთილშობილი წამყვანი ვეღარ უძლებდა ვიღაცების აგრესიულ ბრძანებებს და ორჯერ მოუწია ყურსასმენის ნერვიულად მოცილება ყურიდან.
>
> გასაგებია ჩემთვის ის ისტერიკა, რაც ბავშვის სიკვდილის ვერ „გასკანდალება-გაპოლიტიკურობამ“ გამოიწვია, მაგრამ მე უბედურებამ ვერ დამაკარგვინა საკუთარი სახე და შენ დაკვეთის ვერშესრულება ნუ წაგშლის, როგორც ცარიელ ადგილს. რომის პაპზე მეტი კათოლიკობა წარმართების საქმეა, შენ თვითონაც ხომ იცი.
>
> მოკლედ, ასეა თუ ისეა, ჩემი პატარა და უცოდველი გიორგი ძალადობამ მოკლა, ზუსტად იმავე ძალადობამ (რა განსხვავებაა ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურს შორის?!), რომლის მსხვერპლიც ახლა მისი ოჯახია.
>
> **დაგამძიმებს ასე ცხოვრება, დამიჯერე“,** — წერს მირიან ნიკოლაძე.

გამიჩნდა ეჭვი, რომ გიორგი შაქარაშვილი მოკლულია

ადვოკატი მზია ქასრაშვილი ვარაუდობს, რომ გიორგი შაქარაშვილი მოკლეს. მანამდე ექსპერტმა ალექსანდრე გეჯაძემ თქვა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს გარეგანის გარდა, შინაგანი დაზიანებებიც ჰქონდა.

„ალქსანდრე გეჯაძემ განაცხადა, რომ გიორგი შაქარაშვილს აქვს მიყენებული ბლაგვი საგნის მსგავსი დარტყმა, რომელიც მუშტს არ ჰგავს დარტყმის სიძლიერით, რამაც გამიჩინა ეჭვი, რომ ეს არის მკვლელობა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი მოსაზრებაა. აქამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ფეხი დაუცდა. ექსპერტიზა რას დაადგენს, ეს მასზეა დამოკიდებული“, — აცხადებს მზია ქასრაშვილი. ქასრაშვილი ვახო ახვლედიანის ადვოკატია, რომელიც გიორგი შაქარაშვილის საქმეში ფიგურირებს და გარდაცვლილი ბოლოს მან ნახა.

29 ივნისს დამოუკიდებელი სასამართლოს ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე გეჯაძემ „ტვ.პირველის“ ეთერში განაცხადა, რომ გიორგი შაქარაშვილს შინაგანი დაზიანებებიც აქვს მიყენებული.

28 ივნისს გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებულ 17-ვე პირს აღკვეთის სახით პატიმრობა შეეფარდა. პროცესი დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, რადგან საქმეში ექვსი ბრალდებული არასრულწლოვანია.

აფხაზები – პუტინის საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

„ეს ძალაუფლების უზურპაციის მცდელობაა“

დღეს ოკუპირებული აფხაზეთი რუსეთის საკონსტიტუციო ცვლილებების ე.წ. საყოველთაო კენჭისყრას შეუერთდება. რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირებს ხმის მიცემა სოხუმში, რუსეთის ფედერაციის ე.წ. საკონსულოში შეეძლებათ. თუმცა როგორც Кавказ.Реалии-ს მინი-გამოკითხვა ადასტურებს, თავად რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის მსგავსად, აფხაზეთშიც პუტინის მიერ ინიცირებული ცვლილებები ბევრს ძალაუფლების უზურპაციის მცდელობად მიაჩნია.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ზუსტი რაოდენობა ღია წყაროებში მითითებული არ არის. 2008 წლის მონაცემებით, რუსული პასპორტი და, შესაბამისად, ორმაგი „მოქალაქეობა“ ადგილობრივთა 90%-ს გააჩნდა. ამ დროისთვის კი, დე ფაქტო სამთავრობო წყაროს ცნობით, რუსულ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აფხაზეთის 150 ათასამდე მკვიდრს — ანუ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს აქვს.

ე.წ. პლებისციტში მონაწილეობას არ აპირებს **მარია დემენტიევა,** რომელიც აფხაზეთში საცხოვრებლად 12 წლის წინათ გადავიდა — როგორც თავად ამბობს, მშობლიურ რუსეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გაუარესების გამო.

„მე რუსი გახლავართ, ჩემი წინაპრებიც რუსები იყვნენ. ბაბუა რევოლუციონერი მყავდა ...რუსეთი ჩემი სამშობლოა, მაგრამ სადღეისოდ იქ ცხოვრება შეუძლებელია. რაღა თქმა უნდა, ვერც თავს მოვიკატუნებ და ვიტყვი, რომ რაც იქ ხდება, აღარ გვეხება. მაგრამ ნათელია, რომ მთელი ეს პლებისციტი და საკონსტიტუციო ცვლილებები პუტინის მმართველობის გასახანგრძლივებლადაა ჩაფიქრებული — ყველა დანარჩენ შემოთავაზებულ ცვლილებაში ხალხი დიდად ვერ ერკვევა. პირადად მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმის, რომ პუტინი სამუდამო პრეზიდენტი გახდეს“, — ამბობს მარია.

რუსეთის მოქალაქეობის მქონე აფხაზი ჟურნალისტი **ასტა არძინბა** საკონსტიტუციო ცვლილებებში ასევე ძალაუფლების უზურპაციის მცდელობას ხედავს:

„დიახ, ჩვენი ნათესავები ცხოვრობენ რუსეთში, ჩვენი შვილები იქ მიდიან სასწავლებლად, ჩვენც დავდივართ იქ სამკურნალოდ და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გასვლაც მხოლოდ რუსული პასპორტით, სოჭის გავლით შეგვიძლია — ეს ჩვენთვის სადღეისოდ „ფანჯარაა“ მთელს დანარჩენ მსოფლიოში... მაგრამ ჩვენ ამ ქვეყნის — აფხაზეთის მოქალაქეები ვართ და რა ჩვენი საქმეა ეს პლებისციტი?! ამასთანავე, პირადად მე წინააღმდეგი ვარ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების — ეს ძალაუფლების უზურპაციის მცდელობაა. ვერაფრით ვეგუები, რომ საკითხი (პუტინის საპრეზიდენტო ვადების განულება და მისი უფლებამოსილებების გაზრდა) საერთოდ სერიოზულად განიხილება“.

განსხვავებული პოზიცია აქვს ისტორიის პედაგოგ **ლიანას,** რომელიც აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებაზე მიუთითებს და ე.წ. საყოველთაო კენჭისყრაში მონაწილეობას აპირებს იმისთვის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ მისცეს ხმა: **„თუკი ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში აფხაზები რუსეთს უნდა ვუჭერდეთ მხარს, მაშ, მის კონსტიტუციაზე საკუთარი აზრი არ უნდა გვქონდეს? თუ რუსეთი თანამედროვე სახელმწიფოებრივი მოწყობის ნორმებიდან კიდევ უფრო შორს წაიყვანს საკუთარ თავს, ეს ხომ ჩვენზეც ნეგატიურად აისახება... სიმართლე გითხრათ, ძალიან მაინტერესებს, როგორ იქნება ასახული ეს პერიოდი ისტორიის სახელმძღვანელოებში 30-40 წლის შემდეგ, როგორ აუხსნიან ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს შთამომავლებს... ამით ხომ ირღვევა ყველა შესაძლო და შეუძლებელი ნორმა... და ეს ჩვენც გვეხება — აფხაზეთს და საკუთრივ რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირებს“.**

ერთ-ერთ დე ფაქტო სახელმწიფო უწყებაში მომუშავე **ალინა** კი რუსეთის საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს უჭერს, მაგრამ წმინდა მერკანტილური მიზეზით: **„რუსეთში რომ ხელისუფლება შეიცვალოს, ვინ იცის, რა დამოკიდებულება ექნება აფხაზეთის მიმართ ახალ ძალას? — ვაი და უარი თქვას ჩვენთვის ხელფასების, პენსიების გადახდაზე?! ჯერჯერობით ნამდვილად ვერ წარმომიდგენია ჩვენი სახელმწიფოს არსებობა რუსული დახმარების გარეშე“.**

რა გასაკვირია — და დე ფაქტო ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, რუსული პასპორტების მფლობელები ე.წ. საყოველთაო კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ტრანსპორტით უზრუნველყოს. 1 ივლისს აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში განსაზღვრულ ადგილებზე იდგება სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოქალაქეებს ხმის მისაცემად სოხუმში რუსეთის ფედერაციის ე.წ. საკონსულოს შენობამდე მიიყვანს.

სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა დასრულდა

სამტრედია-გრიგოლეთის **გზის 15 კმ-მდე მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა. ამის შესახებ „კომერსანტს“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის პასუხად აცნობეს. მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მოძრაობის გახსნა უახლოეს მომავალში დაგეგმილია.**

საქართველოს საავტომობილი გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა 4 ლოტად ხორციელდებოდა. პირველი ლოტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 26 მიწისქვეშა გასასვლელისა და წყალგამტარი მილის მოწყობა და 8 სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, მათ შორის 3 ხიდი და 1 რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი ესტაკადა. გასულ წელს Factcheck-ის წერდა, რომ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის I მონაკვეთის მშენებლობა 2014 წლის 8 ივლისს დაიწყო. აღნიშნულ მონაკვეთს უკრაინული კომპანია „Road Building ALTKOM“ აშენებდა. კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტის ღირებულება 153 მილიონი ლარი იყო და სამშენებლო პერიოდი 30 თვეს მოიცავდა. კომპანიამ სამუშაოების მსვლელობისას ავანსის სახით 18 338 910 ევრო მიიღო, რაც იმდროინდელი კურსის შესაბამისად, დაახლოებით 40 მილიონი ლარი იყო. „ალტკომს“ პროექტის მიმდინარეობისას ფინანსური პრობლემები შეექმნა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მხოლოდ 24%. შესაბამისად, პროექტი, რომელიც კომპანიას 2017 წლის იანვარში უნდა დაესრულებინა, ვერ დაასრულა. 2016 წლის ზაფხულში, პროექტის დაწყებიდან ორი წლის თავზე (პროექტის ხანგრძლივობა 2.5 წელი იყო), 11.5-კილომეტრიანი სიგრძის გზის მხოლოდ 2 კილომეტრის მშენებლობა იყო დასრულებული. სამტრედია-გრიგოლეთის I მონაკვეთზე დარჩენილი სამუშაოების 76%-ის მშენებლობა კომპანია აკორდმა დაასრულა.

მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტი 18.5 კილომეტრიანი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 16 სახიდე გადასასვლელის, მათ შორის სამი სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარი), წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას ითვალისწინებდა. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 254 მილიონ ლარს შეადგენდა.

მე-3 ლოტის სამშენებლო მონაკვეთის სიგრძე — 12 კმ იყო. პროექტი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 6 სახიდე გადასასვლელის, 2 სატრანსპორტო კვანძის, საქონლისა და საველე გასასვლელების მშენებლობას ითვალისწინებდა. პროექტის ღირებულება 138 მილიონ ლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ მესამე ლოტი სამტრედია-გრიგოლეთის კიდევ ერთი პრობლემური მონაკვეთი აღმოჩნდა. იტალიურმა TODINI COSTRUZIONI GENI S.p.A-მა ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულა, რომლის ვადაც გასული წლის 12 ივლისს ამოიწურა.

სამტრედია-გრიგოლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მე-4 ლოტის მშენებლობით გათვალისწინებული იყო 9,6კმ-იანი ასფალტობეტონის საფარიანი სავალი ნაწილის მოწყობა. რა დროსაც უნდა აშენებულიყო 41 მიწისქვეშა გასავლელი და წყალგამტარი მილი, 4 სახიდე გადასასვლელი, მათ შორის, 2 პარალელური გზაგამტარი. ღირებულება 113 მილიონ ლარს შეადგენდა.

ბაჩო ადამია

რა ახალი წესები ამოქმედდება ევროკავშირში შესვლის მსურველი ავიამგზავრებისთვის

1 ივლისს ევროკავშირი თავის საზღვრებს მესამე სამყაროს ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილთან გახსნის. თუმცა უახლოეს მომავალში ამ ჩამონათვალის გაფართოებაც იგეგმება. რომელი განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს შეუშვებენ მალე ევროკავშირში და როგორ უნდა მოიქცნენ ევროპაში გაფრენის მსურველი მგზავრები? ამ და სხვა აქტუალურ კითხვებს პასუხი Deutsche Welle-მ გასცა.

რა იცვლება 1 ივლისიდან?

ევროკავშირში **შესვლის შეზღუდვა განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეთათვის 1 ივლისიდან ეტაპობრივად მოიხსნება. თავდაპირველად მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ინიციატივა დასავლეთ ბალკანეთის მხოლოდ 6 ქვეყანას შეეხება. ესენია ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი. ამის მიზეზი არის ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ანალოგიური ან უკეთესიც კია, ვიდრე — ევროკავშირში. სამომავლოდ, ამ ჩამონათვალის გაფართოება იგეგმება და, სავარაუდოდ, მათ შორის იქნება საქართველოც.**

რაც შეეხება შენგენის ზონის შიდა საზღვრებს, ის 15 ივნისიდან უკვე გახსნილია. შესაბამისად, სასკოლო არდადეგების დაწყებამდე, შენგენის 26 ქვეყნის მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ შიდა ავიამიმოსვლით ესარგებლათ. ამიტომაც სწორედ ამ მიმართულებით ტურისტულმა სააგენტოებმა და ავიაკომპანიებმა სარეკლამო რგოლები გააააქტიურეს. ამ დროს განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა თვითმფრინავებსა თუ აეროპორტებში შემუშავებულ და განხორციელებულ უსაფრთხოების ზომებზე, რომელთა დაცვაც ახალი კორონავირუსული ინფექციის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია. კონკრეტულად რა წესებზეა საუბარი და როგორ უნდა მოიქცეს ევროპაში გაფრენის მსურველი მგზავრი?

ნიღაბი, როგორც თვითმფრინავში, ასევე – აეროპორტის შენობაში

აუცილებელია **იმის აღნიშვნა, რომ ევროპაში გაფრენის მსურველი ადამიანისთვის ნიღბის ტარება სავალდებულოა.** ევროკავშირის სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებული სამგზავრო საჰაერო მიმოსვლის ინსტრუქციის თანახმად, ამ წესის დაცვა აუცილებელია **„გამგზავრების მიზნით, აეროპორტის შენობაში შესვლის მომენტიდან დანიშნულების აეროპორტიდან გასვლამდე“**. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ 6-წლამდე ასაკის ბავშვები და ის პირები, ვისთვისაც ნიღბის ტარება სამედიცინო მიზეზების გამო დაუშვებელია.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მგზავრებმა ნიღაბი ყოველ 4 საათში შეიცვალონ. მათ ხელები რეგულარულად უნდა დაიბანონ და დეზინფექცია ჩაატარონ. როგორც წესი, ფრენა 4 საათზე მეტხანს გრძელდება, ამიტომაც მგზავრს, სულ ცოტა, 1 სათადარიგო ნიღაბი მაინც უნდა ჰქონდეს.

თვითმფრინავის სალონში ხელბარგის ატანა

გერმანიის **აეროპორტების უმრავლესობაში დაინერგა წესი, რომლის თანახმადაც, მგზავრს სალონში მხოლოდ ერთი ცალი ჩანთის ატანა შეუძლია. სავარაუდოდ, ამან მგზავრის ბარგის შემოწმების პროცესი უნდა დააჩქაროს და აეროპორტში ინფიცირების რისკი მინიმუმამდე დაიყვანოს.**

ბარგის შემოწმებისას 1,5-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაცვა აუცილებელია. ამისათვის კი ავიაკომპანიებმა სახმელეთო სამსახურებთან ერთად აეროპორტებში სპეციალური ნიშნულები უნდა გააკეთონ და მგზავრებისთვის დამატებითი სარეგისტრაციო პუნქტები გახსნან.

სამედიცინო კონტროლი აეროპორტებში

ამ დროისთვის **გერმანიის აეროპორტებში თერმოსკრინინგი ყველა მგზავრისთვის აუცილებელი არ არის. თუმცა ყველა აეროპორტი ვალდებულია, ტემპერატურის საზომი აპარატურა ჰქონდეს და სიტუაციის შესაბამისად, მასობრივი თერმოსკრინინგის დასაწყებად ნებისმიერ დროს მზად იყოს.**

თუმცა ავიაკომპანიებს შეიძლება საკუთარი წესები ჰქონდეთ. მაგალითად, Lufthansa უახლოეს მომავალში გეგმავს, რომ მგზავრებს ახალ კორონავირუსზე ნებაყოფლობითი ტესტირება შესთავაზოს. აღნიშნული მომსახურება მიუნხენისა და ფრანკფურტის (მაინის) აეროპორტებში იგეგმება. ტესტის შედეგები 4 საათში ცნობილი იქნება. ავიაკომპანიის განცხადებით, ამ მომსახურებაზე მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც მიემგზავრებიან ქვეყნებში, სადაც შესვლა მხოლოდ ახლახან ჩატარებული SARS-CoV-2-ის ტესტის პასუხით არის შესაძლებელი.

რამდენად დიდია ბორტზე ინფიცირების რისკი?

ბორტზე **ინფიცირების რისკი არსებობს, მაგრამ ის არც თუ ისე დიდია — ამტკიცებენ ავიაკომპანიებისა და თვითმფრინავების მწარმოებელი ევროპული კონცერნის- Airbus-ის წარმომადგენლები. ამას კი იმით ხსნიან, რომ თვითმფრინავის სალონში ჰაერის მიმოქცევა ზევიდან ქვევით ხდება. ამიტომაც მგზავრების მიერ ამოსუნთქული ჰაერი სხვა წვეთებთან ერთად დაუყოვნებლივ სალონის იატაკზე ეცემა და გვერდით მჯდომს არ ხვდება. „ჩვენს თვითმფრინავებში ჰაერწვეთოვანი გზით ინფიცირების რისკი ისეთივე უმნიშვნელოა, როგორც რომელიმე გერმანული კლინიკის საოპერაციოში“,** — წერს თავის ვებგვერდზე ავიაკომპანია Condor-ი.

გერმანელი ვირუსოლოგი იონას შმიდტ-ხანასიტი (Jonas Schmidt-Chanasit) ასეთ განცხადებებს სკეპტიკურად უყურებს. ჰამბურგის ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გვახსენებს, რომ თვითმფრინავში ჰაერის ფილტრაციის ყველაზე თანამედროვე სისტემის არსებობის შემთხვევაშიც კი ფრენა ინფიცირების რისკს თავისთავად შეიცავს. რაც უფრო ხანგრძლივია ეს მგზავრობა, საფრთხეც მეტია — აღნიშნავს ვირუსოლოგი.

იქნება თუ არა შუა ადგილები ცარიელი?

ევროკავშირის **ავიაკომპანიებს არ ევალებათ, ფანჯარასა და გასასვლელს შორის არსებული შუა ადგილები ცარიელი დატოვონ.**

გადამზიდველს ამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითმფრინავის დატვირთვა ამის საშუალებას მისცემს. ამრიგად, მგზავრებს ავიაკომპანიისგან შუა ადგილების გამოთავისუფლების მოთხოვნის უფლება არ აქვთ.

შრომითა და სიახლით ცნობილი

ვულოცავთ აბესალომ იმედაშვილს

90 წლის საიუბილეო თარიღს ვულოცავთ ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ქართულ-თურქულენოვანი საერთაშორისო გაზეთ „ხიდის“, ჟურნალ „ახალი ხიდის“ ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ყოფილ ხელმძღვანელს, ბატონ **აბესალომ იმედაშვილს**.

ბატონი აბესალომი 1930 წლის 30 ივნისს ქ. ბათუმში დაიბადა. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა და წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების სპეციალობაზე (შემდეგ ეს განყოფილება აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით შეიცვალა).

მისი შრომითი საქმიანობა სამედიცინო სასწავლებლებში ისტორიის მასწავლებლობით და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორობით დაიწყო. შემდეგ იყო ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერთანამშრომლობა, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, ხოლო 1960 წლიდან პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობა.

ამავე დროს, როგორც დოცენტი, სხვადასხვა წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, აქვეყნებდა საყურადღებო წერილებს ჟურნალ-გაზეთებში, არის 7 დოკუმენტური ფილმის (აქედან ერთი სრულმეტრაჟიანია), ხუთი ბროშურისა და ორი წიგნის ავტორი. ბატონი აბესალომი ცნობილია, როგორც უაღრესად შრომისმოყვარე და თაოსანი ადამიანი.

70-80-იან წლებში იგი გამოჩენილ რეჟისორებთან არჩილ ჩხარტიშვილთან, გიგა ლორთქიფანიძესთან, რევაზ მირცხულავასთან, მხატვარ ოთარ ლიონანიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა სახალხო ზეიმებს, მათ შორის „თბილისობის“ მომზადებასა და მაღალ დონეზე წარმართვას.

აბესალომ იმედაშვილი ერთ-ერთი მოთავეა დედაქალაქში მცირე ზომის სპორტული მოედნების მშენებლობებისა. დღეს მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულია, რაც დიდად უწყობს ხელს მოზარდი თაობის ჯანსაღი ცხოვრების განვითარებას და შემდგომში მათი ნაწილის სპორტულ დაოსტატებას.

იუბილარი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ალბათ, საყურადღებოა, რომ პიროვნებამ 60 წელი იღვაწოს და აქედან, დაახლოებით 20 წელიწადი პრესას ემსახუროს.

როგორც აღინიშნა, გაზეთი „ხიდი“ და ჟურნალი „ახალი ხიდი“ ქართულ-თურქულენოვანი გამოცემებია, მათი წარმოშობა კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უშუალო შედეგია. თურქეთი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც პირველმა მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. სწორედ იმ დროს თურქოლოგმა ნოდარ კომახიძემ (შემდგომში საქართველოს ელჩი თურქეთში) და აბესალომ იმედაშვილმა გადაწყვიტეს ქართულ-თურქულენოვანი გაზეთის დაარსება. იმხანად საქართველოში ურთულესი პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი და გაზეთის გამოცემა ვერ მოხერხდა. ვითარება შედარებით გამოსწორდა 1992 წლის გაზაფხულიდან. მაშინ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორმა ნოდარ ჯაველიძემ (აწ განსვენებული ბატონი ნოდარი განათლებული, სიკეთის მკეთებელი, ყოველმხრივ კარგი პიროვნება გახლდათ), ერთ-ერთ შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა, გამომცემლობის ხარჯზე გამოეცა ქართულ-თურქულენოვანი გაზეთი. იმ დროს ეს გამომცემლობა გაზეთ „რესპუბლიკურ უწყებანს“ უშვებდა, რომელსაც სპარტაკ ქობულია ხელმძღვანელობდა. ბატონი ნოდარის რჩევით მომავალი გაზეთის რედაქციის რამდენიმე წევრი „საქართველოს უწყებანის“ რედაქციას შეეკედლა და მასთან ერთად ჩამოყალიბდა გაზეთ „ხიდის“ რედაქცია, რომელსაც რამდენიმე თვეს ჩვენი იუბილარი და სპარტაკ ქობულია მეგობრულად ხელმძღვანელობდნენ.

„ხიდის“ პირველი ნომერი 1992 წლის 29 ივლისს გამოვიდა, 30 ივლისს კი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი ეწვია, რომელმაც დადებითად შეაფასა გაზეთი და მას წარმატებები უსურვა.

„ხიდის“ ფურცლებზე მუდმივად იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი და თურქი სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის მუშაკთა ბიოგრაფიები, რაც ხელს უწყობდა ორი ქვეყნის მოსახლეობის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

გამომცემლობა „სამშობლოს“ ფინანსური სიძნელეების გამო 5 წლის შემდეგ „ხიდი“. როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატება, კიდევ 4 წელი გამოდიოდა და კვლავ ხელს უწყობდა ამ ქვეყნების ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამკვიდრებას. ამ კეთილშობილურ საქმეში გაზეთ „ხიდის“ რედაქციას ეხმარებოდნენ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე და მისი მოადგილე ანზორ ბასილაია.

გაზეთმა „ხიდმა“ თვალსაჩინო როლი შეასრულა და ხელი შეუწყო ადრე თურქეთში გამომავალი კულტურული კრებულის „ჩვენებურის“ აღდგენას და მის რედაქციასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ – ასეთი იყო ჟურნალ „ახალი ხიდის“ დევიზი, რაც გაზეთ „ხიდის“ პირმშოა და რაც აბესალომ იმედაშვილის თაოსნობით და თურქი თანამოაზრეების დაფინანსებით 2001 წლის ბოლოს შეიქმნა, ხოლო პირველი ნომერი 2002 წლის აპრილში გამოვიდა.

ჟურნალი „ახალი ხიდი“ სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ყოველკვარტალური ფერადი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული გამოცემა იყო, რომელიც თურქეთშიც იგზავნებოდა. იგი თავის ფურცლებზე გარკვეულ ადგილს უთმობდა რელიგიათა შორის დიალოგის აუცილებლობას. საქართველოსა და თურქეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რიგითი მკითხველები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მისი მიმართულების, შინაარსისა და პოლიგრაფიული დონის გამო.

„ახალი ხიდი“ წარმატებით ახორციელებდა იმავე ტენდენციებს, რაც თავის დროზე შეიმუშავა გაზეთმა „ხიდმა“ და ხელს უწყობდა ჩვენი კარის მეზობლის, თურქეთის მოსახლეობასთან სამეგობრო ხიდის გადებას. ამ სასიქადულო საქმეში ჟურნალს კვლავ ფინანსურმა ნაკლებობამ შეუშალა ხელი. ბოლო 3 წლის განმავლობაში ჟურნალი ყოველკვარტალურადაც ვერ გამოდიოდა. 2012 წლის პირველ კვარტალში, მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა და ამით არსებობა შეწყვიტა.

შრომას შეჩვეული ბატონი აბესალომი კვლავ მუშაობს, ოღონდ ოჯახში. ყოველდღიურად წერს, ასწორებს, ოღონდ არავის უმხელს, რას...

შრომის სურვილი, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ ჩვენს კოლორიტულ მეგობარსა და კოლეგას, ბატონ აბესალომ იმედაშვილს.

მხნედ, დამაშვრალო, უფლისგან სიკეთემისჯილო ადამიანო!

მეგობრები
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“

---

1 ივლისიდან ევროკავშირი საზღვარს საქართველოსაც უხსნის!

დღეიდან ევროკავშირი საზღვარს მხოლოდ 14 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს უხსნის, – იუწყება BBC.

გამოცემის ცნობით, უსაფრთხო ქვეყნების ამჟამინდელ სიაში შედიან: **ალჟირი, ავსტრალია, კანადა, საქართველო, იაპონია, მონტენეგრო, მაროკო, ახალი ზელანდია, სერბეთი, სამხრეთ კორეა, რუანდა, ტაილანდი, ტუნისი და ურუგვაი.**

ამ ეტაპზე მოლაპარაკებებს აწარმოებს დიდი ბრიტანეთიც. BBC-ის ცნობით, სია, შესაძლოა, შეიცვალოს და მისი საბოლოო ვარიანტი მიმდინარე კვირაში გამოქვეყნდება. უსაფრთხო ქვეყნების არაოფიციალური სია 27 ივნისს გამოცემა „ლე მონდმა“ გაავრცელა. მედია იტყობინებოდა, რომ წევრი ქვეყნების ელჩებმა საზღვრების გახსნის კრიტერიუმები შეათანხმეს და სია განიხილეს, რომელშიც მოსალოდნელი 50-ის ნაცვლად, მხოლოდ 14 ქვეყანაა შესული, მათ შორის, საქართველო. საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ფრენების აღდგენას 1 აგვისტომდე არ აპირებს. ეკონომიკის მინისტრი გადაწყვეტილებას მომატებული რისკებით ხსნის.

რუსეთს ეკონომიკური სანქციები გაუხანგრძლივეს

ევროკავშირის საბჭომ უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები 6 თვით გაახანგრძლივა.

„ევროკავშირის საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო სანქციების 6 თვით გახანგრძლივების თაობაზე, რომელიც მიმართულია რუსეთის ეკონომიკის ცალკე სექტორებზე“, – ნათქვამია განცხადებაში. ევროკავშირის საბჭოში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მინსკის შეთანხმებები სრულად არ არის შესრულებული. ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები რუსულ ბანკებსა და კომპანიებს წვდომას უზღუდავს ევროკავშირის პირველადი და მეორადი კაპიტალის ბაზრებზე. ასევე, სანქციები კიდევ უფრო ზღუდავს რუსეთის წვდომას გარკვეულ ტექნოლოგიებზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთის ენერგეტიკულ სექტორში.

◎ მწარე ბედი ქალისა

თიანელი ფატმან სუარიშვილი ძალადობის მსხვერპლია...

წლების მანძილზე ჩაბრავენ, მაბრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი!

ამ მარტოხელა, უკვე ხნიერმა ქალმა, როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა და ქვეყანა შეძრა, მაგრამ არავინ არ გამოჩნდა ისეთი ღვთისნიერი ადამიანი, ვისაც შეაღონებდა ამ ჩამქრალ ვარსკვლავზე დაბადებული ქალის მწარე ბედი და მაშველად მოევლინებოდა.

ჩვენმა გაზეთმა ორჯერ ამცნო ქვეყანას (2020 წ. III, №47) და (2020 წ. VI. №78) ფატმანის აუტანელი ცხოვრების ამბავი. მეორე პუბლიკაციის ბოლოს გაზეთი მავანთა და მავანთა გასაგონად წერდა: **წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია მოქალაქე ფატმან სუარიშვილის ცხოვრების გარემოებები, მისი ზნეობრივი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები ერთხელ და სამუდამოდ ისე იქნეს შესწავლილ-გამოძიებული, რომ სამართალმა თიანეთში, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც ჭამოს პური!**

მაგრამ საქმეში ხარ?!

მართლაც არსაიდან ხმა, არსით ძახილი! რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ფატმან სუარიშვილის მიმართ დაყრუებული და დაბრმავებულია, ვიმედოვნებთ, ჩვენს პუბლიკაციებს სასწრაფოდ, სანამ ტრაგედია დატრიალებულა, ყურადღებას მიაქცევენ

საქართველოს გენერალური პროკურატურა;
შინაგან საქმეთა სამინისტრო;
გენერალური ინსპექტორი;
სახალხო დამცველი

და უმოკლეს დროში აცნობებენ რედაქციას, რა იღონეს იმ აღვირახსნილ მოძალადეთა წინააღმდეგ, რომელთაც სიცოცხლე გაუმწარეს უმწეო, მარტოხელა, თავის დროზე დამსახურებულ პედაგოგს ფატმან სუარიშვილს! ისე ნუ ვიზამთ, რომ მერე ვინანოთ ჩვენი უადამიანობის გამო!

მოძალადეებს ყოველწუთიერად ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

„ვინც გავა, ველარ დაბრუნდება“!

ოსები ქართული უმაღლესი სასწავლებლების წინააღმდეგ

ახალგორის **ოკუპირებულ რაიონში ქართულსკოლადამთავრებულები გააფრთხილეს, სწავლის გასაგრძელებლად ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლაზე „არც იფიქრონ“. ათიოდე დღის წინათ დე ფაქტო უშიშროების სამსახური ოფიცრებმა მოზარდები ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობაში შეკრიბეს და განუცხადეს, რომ „ვინც გავა, უკან ველარ დაბრუნდება“.**

როგორც მოზარდები ყვებიან, დე ფაქტო უშიშროების წარმომადგენლებმა იკითხეს, ვინ აპირებდა წელს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებას. პასუხები განსხვავებული იყო: ზოგმა აღიარა, რომ საბუთები უკვე შეიტანა, ზოგმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, ზოგმაც თქვა, რომ სწავლის გაგრძელებას ჯერ საერთოდ არ აპირებს.

თავის მხრივ, ოსმა ოფიცრებმა მოზარდებს დაჟინებული „რეკომენდაციით“ მიმართეს, ქართულ სასწავლებლებში ჩაბარების იდეაზე უარი თქვან და ოსურის სასარგებლოდ გააკეთონ არჩევანი, ან თუ გავლენ, „დაბრუნებაზე არც იფიქრონ, რადგან უკან აღარავინ შეუშვებთ“.

ამასთან, გაიჟღერა „რჩევამ“, **„გაუაზრებელი ნაბიჯები არ გადადგან და საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის მალულად გადაკვეთაზე ფიქრსაც მოეშვან, — წინააღმდეგ შემთხვევაში დაბრუნების შემდეგ უცილობელი პრობლემები შეექმნებათ“**. ეს განცხადება ბადებს აზრს, რომ ცხინვალის რეჟიმი აბიტურიენტებისთვის დე ფაქტო საზღვრის გახსნას არ აპირებს...

სულ ოკუპირებული რაიონის მასშტაბით ქართული სკოლა წელს 11-მა მოზარდმა დაამთავრა, მათგან შეხვედრას 9 ესწრებოდა. დე ფაქტო უშიშროების წარმომადგენლები კი, როგორც მოზარდები ყვებიან, ოთხნი იყვნენ: ერთი — ადგილობრივი განყოფილებიდან, სამი — ცხინვალიდან.

შეხვედრაზე იმყოფებოდა დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსიც. სამაგიეროდ, მას არავინ დასწრებია პედაგოგებიდან და განათლების ადგილობრივი განყოფილებიდან, რომელიც იმავე შენობაში, მესამე სართულზე მოქმედებს.

ზოგადადაც, უფროსებიდან, თავად „ჩეკისტებისა“ და დე ფაქტო ადმინისტრაციის უფროსის გარდა, შეხვედრაზე მხოლოდ ერთი მოზარდის დედა იმყოფებოდა, რომელიც შვილს მიჰყვა, — ბავშვებზე პასუხისმგებელი არც ერთი სხვა უფროსი მასზე არ მიუწვევიათ. შესაბამისად, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და დაშინების გარდა, ეს შეხვედრა სხვა არაფერს ჰგავდა.

როგორც ჩანს, იგივე ელით ახალგორელ აბუტურიენტებს წელსაც. არადა, თბილისში სწავლის გაგრძელების მსურველები არა მარტო ქართულ, არამედ რუსულსკოლადამთავრებულებს შორისაც არიან.

ქართულენოვანთა (და არა მარტო ქართველების, რადგან ქართველენოვანთა შორის აქ ეთნიკური ოსებიც არიან) დისკრიმინაციის პრაქტიკა ანატოლი ბიბილოვის „გაპრეზიდენტების“ შემდეგ მნიშვნელოვნად გამწვავდა. მისი დე ფაქტო მმართველობის პირობებში ისინი ფაქტობრივად მუდმივად მოკლებულები არიან გადაადგილებისა და არჩევანის თავისუფლებას. სწორედ ბიბილოვის „გაპრეზიდენტების“ შემდეგ, 2017 წელს დაიხურა ოკუპირებულ რაიონში ქართული სკოლები და დატოვეს მხოლოდ სივრცე 8-11 კლასების მოსწავლეთა სწავლის დასასრულებლად. გასული წლის იანვრიდან კი სხვადასხვა მოტივებით თითქმის მუდმივადაა ჩაკეტილი დე ფაქტო საზღვარი.

„ადგილობრივები, ფაქტობრივად, არჩევანის წინაშე დააყენეს: ან წასვლა, ან ცხოვრება ლენინგორის (ახალგორის — რედ.) გეტოში. სხვას ამას ვერაფერს უწოდებ, რადგან რაიონის 2008 წლიდან ცხინვალის იურისდიქციას დაქვემდებარებული აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობა აბსოლუტურად არ არის ინტეგრირებული რესპუბლიკაში. რაიონის მასშტაბითაც კი ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე არაადგილობრივებს ნიშნავენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თავის ახალგაზრდობასაც კი ცხინვალი დიდად ვერაფერს სთავაზობს, მაგრამ მათ რუსეთი მაინც აძლევთ ფართო არჩევანს თავის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელია, ისწავლონ, იმუშაონ, მოიწყონ ცხოვრება. ლენინგორელებს (ახალგორელებს — რედ.) კი მსგავსი არჩევანი არ აქვთ. ისინი ქართულენოვანები არიან, ამიტომაც რუსულ უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ისწავლიან, ცხინვალის სასწავლებლებში სწავლა კი აზრსაა მოკლებული რესპუბლიკაში პერსპექტივების არარსებობის გამო. მათთვის გაცილებით მარტივი და უკეთესი იქნებოდა, ცხოვრებისეული გეგმები თავის ენობრივ და კულტურულ გარემოში განეხორციელებინათ, მაგრამ პრეზიდენტმა ბიბილოვმა რატომღაც გადაწყვიტა, ახალგაზრდობის ამ ნაწილს არჩევანის თავისუფლება და მომავლის იმედი წაართვას“ — წერს ამასთან დაკავშირებით „რადიო თავისუფლების“ ადგილობრივი მურატ გუკემუხოვი.

„აქცენტი“

◎ არჩევანი მე, არადანი შენ...

სკოლაში მონაცვლეობით სიარული, თუ ორცვლიანი სწავლება?

საქართველოს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სკოლებს მომავალი სასწავლო წლისთვის გაკვეთილების ჩატარების სხვადასხვა ფორმატი შესთავაზა, საიდანაც სკოლებმა უნდა შეარჩიონ, რომლის მიხედვით იმუშავებენ**.

სამინისტროს შეთავაზების მიხედვით, თითოეულმა სკოლამ უნდა შეიმუშაოს მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული საგაკვეთილო ცხრილი შემდეგი ვარიანტებიდან:

შესაძლოა, ერთცვლიანი სკოლები გადავიდნენ 2 ცვლაზე და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ ცვლების მიხედვით;

შესაძლოა, სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ დღეების მონაცვლეობით;

ერთცვლიანი და ორცვლიანი სკოლებისთვის მოსწავლეთა რაოდენობა განახევრებულია;

ერთცვლიანი სკოლებისთვის მოსწავლეთა რაოდენობა გამეოთხედებულია.

სასწავლო წლის პირველი კვირა უნდა დაეთმოს ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების გაცნობას მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. წესები შეიძლება გააცნონ დამრიგებლებმა, მანდატურებმა და/ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირებმა.

ცვლილებაა მოსწავლეთა შეფასებაშიც. სამინისტროს ცნობით, **უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომპლექსური დავალებების კეთებას, რაც იძლევა საშუალებას, გაკვეთილების ნაცვლად ზოგჯერ დაინიშნოს საკონსულტაციო საათები დისტანციურად**.

ცვლილება უნდა შევიდეს ესგ-ის იმ ნაწილში, სადაც საუბარია შეფასების სავალდებულო კომპონენტებზე (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი). **სკოლას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოსწავლეები შეაფასოს მხოლოდ შემაჯამებელი შეფასებით, საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტები იყოს სკოლის სურვილის მიხედვით** (რომელიმე კლასში ან კლასებში, ერთ საგანში ან საგნებში).

რაც შეეხება, სასწავლო შინაარსს, ყველა კლასისა და საგნის მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს პირველი და მეორე სემესტრის განმავლობაში სასწავლო მსხვილი თემები და მათთან დაკავშირებული კომპლექსური/შემაჯამებელი დავალებები.

როგორც ქართველი ინფექციონისტები აცხადებენ, მსოფლიოში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა კვლავ დაგვჭირდეს გარკვეული შეზღუდვების დაწესება და ეს სკოლებსაც შეიძლება ისევ შეეხოს, როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, დღევანდელი მოცემულობით სკოლებში სწავლის გადადების საშიშროება არ არის. მაგრამ გვაფრთხილებენ, რომ სიტუაცია შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს, ამიტომაც სასწავლებლები ამისთვის მზად უნდა იყვნენ.

სამინისტრო სკოლებს საკუთარი საჭიროების მიხედვით არჩევანის საშუალებას აძლევს. რამდენიმე სკოლაში უკვე ისაუბრეს ამ საკითხზე და როგორც ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავს, **უკვე შეჯერდნენ შერეულ ვარიანტზე, რომელიც რამდენიმე დღე სკოლაში სწავლებას და რამდენიმე დღე დისტანციურ სწავლებას ითვალისწინებს.**

„ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში, მასწავლებლებს მოგვიწევს დილიდან საღამომდე სკოლაში ყოფნა. თუ, მაგალითად, ორ კლასს დილით ჩავუტარებ გაკვეთილს და სამს — მეორე ცვლაში, გამოდის ჩემი სკოლაში ყოფნის დრო გაიზრდება. ეს კი აისახება თუ არა ჩემი შრომის ანაზღაურებაზე, ამას არავინ ამბობს. მე ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში ორცვლიან სწავლებას არავინ აირჩევს“, — ამბობს მასწავლებელი.

დისტანციური სწავლების არჩევის შემთხვევაში, სკოლას მოუწევს იმ პრობლემებთან გამკლავება, რომელიც მოსწავლე-მასწავლებლებისთვის ინტერნეტით და კომპიუტერით უზრუნველყოფას გულისხმობს. უინტერნეტობა და უკომპიუტერობა ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იყო ონლაინ სწავლების დროს სკოლებისთვის და განათლების სამინისტროსთვის. როგორ აპირებს უწყება ამ პრობლემის მოგვარებას, თუ ისევ დისტანციურ სწავლებაზე გადავლენ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები, ჯერჯერობით უცნობია.

EDU.ARIS.GE-მ კიდევ ერთ მასწავლებელთან გაარკვია, რომ სკოლამ, სადაც ის მუშაობს, გადაწყვიტა, დაწყებით კლასებს ონლაინ ასწავლოს, ხოლო მაღალი კლასების მოსწავლეებმა სკოლაში იარონ.

„გაცილებით რთულია პატარებისთვის ონლაინ სწავლება, როცა არ აქვთ კომპიუტერთან და ინტერნეტთან მუშაობის შესაბამისი უნარები. როგორ უნდა ავუხსნა და ვასწავლო პირველ კლასელებს ონლაინ ანბანი? ჩემთვის ეს რთულია. თუ არ გამოუწერე, არ აჩვენე როგორ იხაზება ესა თუ ის ასო, ბავშვი როგორ ისწავლის? სამწუხაროდ, არანაირი ტრენინგი არ ჩაგვტარებია მასწავლებლებს, რაც ონლაინ სწავლებაში დაგვეხმარებოდა. ჩვენც გვჭირდება შესაბამისი უნარების გამომუშავება. დისტანციური სწავლება მხოლოდ კომპიუტერის მოხმარების წესების ცოდნას ხომ არ გულისხმობს? შესაბამისი მეთოდიკაც შესამუშავებელია, ჩემი აზრით“, — უთხრა EDU.ARIS.GE-ს მასწავლებელმა.

მცირეკონტინგენტიანი სკოლები, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა ცოტაა, სხვა მიდგომას საჭიროებენ. როგორც ამ სკოლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ არ გაუჭირდებათ დისტანციის დაცვა. სამინისტროს ინფორმაციით, ისინი სწავლების მათთვის საუკეთესო ფორმატს აირჩევენ, რომელიც განსხვავებული იქნება დიდკონტინგენტიანი სკოლებისგან.

მცირეკონტინგენტიან სკოლებს და არა მარტო მათ, დისტანციის დაცვასთან ერთად, ჰიგიენური ნორმების დაცვაც მოეთხოვებათ. როგორ მოხერხდება ეს, როცა, მაგალითად, სოფლის სკოლებში საპირფარეშოები, ხშირ შემთხვევაში, სკოლის შენობის გარეთ არის და შეესაძლოა სკოლაში წყალიც არ იყოს, უცნობია. თბილი წყლის არსებობაზე აღარაა საუბარი, რაც ასე აუცილებელია ვირუსთან საბრძოლველად. სკოლებს ასევე მოუწევთ ჰიგიენური საშუალებების შეძენა. რა თანხით მოახერხებენ ამას, გამოყოფს თუ არა სამინისტრო ანტისეპტიკური საშუალებებისთვის, საპნისთვის და სხვა ჰიგიენური საშუალებებისთვის თანხას, ესეც უცნობია.

შეგახსენებთ, რომ სკოლები დისტანციური სწავლების რეჟიმზე 2020 წლის მარტის ბოლოდან გადავიდნენ და სასწავლო სემესტრიც ასევე ონლაინ დაასრულეს. განსაკუთრებით მოსწავლეებს არ მოსწონდათ მასწავლებლებისგან და კლასელებისგან დაშორება და დისტანციურად სწავლება. „სკოლა მომენატრა“, „სკოლაში კარგია“, „არ მომწონს, რომ კლასელებთან შეხვედრის საშუალება არ მაქვს“, — ხშირად მოისმენდით ამ ფრაზებს ბავშვებისგან. სექტემბერში სკოლებში სწავლის განახლებაზე, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ინფექციონისტების პროგნოზი საიმედოა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

EDU.ARIS.GE

სენაკის ახალი სიცოცხლე

არის მოვლენები, რომლებიც სულის სიღრმეში ისე დაილექება, რომ მიუხედავად წლების სრბოლისა, დავიწყების მტვერი არ ედება ჩვენს მეხსიერებაში.

დარწმუნებული ვარ, ასეთი იქნება წლევანდელი წელი, რომელმაც გლობალური პანდემიით შემოგვიტია და საკმაოდ დაგვაზარალა.

პანდემიის დროს სენაკის მუნიციპალიტეტში ასობით ოჯახს გაეწია სურსათით და სამედიცინო დახმარება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მრავალშვილიან, დევნილთა და შეჭირვებულთა უზრუნველყოფას, დროულად ჩატარდა სკოლების, საბავშვო ბაღებისა და საწარმოდაწესებულებების სადეზინფექციო სამუშაოები. ამან გარკვეულად შეუწყო ხელი, ავადობისაგან დაცულიყო მოსახლეობა. საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ კოვიდ-19“-ის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ამ რთულმა დროებამ, გარკვეულად შეაფერხა რაიონში ცხოვრება და საქმიანობა, თუმცა ვერ გააჩერა ის, გადაუმეტებლად ვიტყვი, რომ ბოლო სამი წელია, სენაკის მუნიციპალიტეტში, როგორც იტყვიან, ბუმია მშენებლობის — განახლების, ახლის დანერგვისა და ძველის გაცოცხლებისა. ეს ყოველივე კარგად გამოჩნდა ბოლო თვეების განმავლობაში: მუნიციპალიტეტის მერის **ლევან კუპრეიშვილის** თაოსნობითა და მონდომებით გადაილახა პანდემიით არსებული სირთულეები და რაიონის ეკონომიკა თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

გონიერ ადამიანს აქვს ნათქვამი, სოფელს თუ ქალაქს ადგილობრივი უნდა ხელმძღვანელობდეს, რომელსაც გული შესტკივა ყველაფერზე. ბატონი ლევანი შესანიშნავი ოჯახის შვილია. წარმატებით დაამთავრა ჟიული შარტავას სახელობის საშუალო სკოლა, თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება, დიდ ბრიტანეთში გაიღრმავა კვალიფიკაცია, იქვე ინგლისურ ენაზე დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია თემაზე „სტრატეგიული ლოგისტიკური ჰაბის შედარებითი ანალიზი“, განსწავლული დაუბრუნდა სამშობლოს და იმუშავა არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მისი ნიჭიერება და აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩენია რაიონის მოსახლეობას. გამოუცხადა ნდობა და მერად აირჩია. ახლა ძალას არ იშურებს, რომ გაამართლოს მოსახლეობისგან მიღებული მანდატი. სურს, ისე იღვაწოს, რომ შესამჩნევი კვალი დატოვოს ყველა სფეროში და წლების შემდეგ უკან მოხედვის არ შერცხვეს.

სამშენებლო და სარეაბილიტაციო ობიექტები მოიცავს ყველა სფეროს, ქალაქსა და სოფელს. თუ შარშან 9 მილონამდე ლარის სამუშაოები ჩატარდა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებულია 5. 819. 530 ლარის სამუშაოების წარმოება. საბედნიეროდ, ობიექტების მშენებლობა კარგ ტემპში, შეუფერხებლად მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერია და ინფრასტრუქტურის სამსახური ძალას არ იშურებენ. საგანმანათლებლო და კულტურული ობიექტები პირველ პლანზეა წამოწეული. ამის დასტურად შემიძლია მოვიტანო აკაკი ხორავას სახელმწიფო თეატრის განახლების მაგალითი, რომლის მშენებლობა შარშან დაიწყო და თითქმის დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის სარემონტო სამუშაოები, რომლისთვისაც 100 ათას ლარი იხარჯება. თეატრსა და სამხატვრო გალერეასთან ერთად მუზეუმის შენობა ქალაქის სავიზიტო ბარათია. ბოლო ოცი წელია მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, დროული და აუცილებელი იყო ქალაქის ცენტრში მდებარე ამ შენობის განახლება. ეს არის გმირის სახელისთვის პატივმიგება, მისი ღვაწლის დაფასება, იმის დემონსტრირება, რომ ჟიულის თავგანწირვა არასდროს მიეცემა დავიწყებას.

მუნიციპალიტეტის მერია პარალელურად აახლებს კულტურის სახლს, სადაც მოსწავლე ახალგაზრდები სხვადასხვა სექციებში მეცადინეობენ. ეს დარბაზი დიდი ხანია ითხოვდა შეკეთებას.

აქტიური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის დასვენების პარკის სამხრეთის მონაკვეთის განახლებისთვის. ეს ის ადგილია, რომლის ირგვლივაც დგას საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი. ომის მემორიალი (კუბი), საკათედრო ტაძარი, მუსიკალური სკოლისა და თეატრის შემობები, ამ უკანასკნელს მინიჭებული აქვს უძრავი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ნიშანდობლივია, რომ ამავე სკვერში დაიდგა და მალე გაიხსნება საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი. სწორედ ამიტომ მერის ლ. კუპრეიშვილის ინიციატივით ახალი სახე უნდა მიეცეს პარკსა და მის შემოგარენს. დასვენების პარკის ერთ ნაწილზე მოიხსნა რკინის შემორაგვა. მოეწყო ქვაფენილი. გათვალისწინებულია დასვენებისა და მოზარდების გართობის სხვადასხვა საშუალებების დადგმა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლების შეკეთებისთვის დაგეგმილია 450 ათასი ლარის, ბაღებისთვის კი 115 .000 ლარის სამუშაოების ჩატარება. ორი ბაღის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს. შავი საფარი იგება ათობით ქუჩაზე. მოხდება სკვერების რეაბილიტაცია. ქალაქში არსებული რამდენიმე სახლის სახურავისა და ფასადის შეკეთება. მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების აღდგენა. კეთილმოწყობა ეკლესიებთან და სასაფლაოებთან მისასვლელი გზები და ხიდები. წყალმოვარდნის საშიშროების გამო გაღრმავდება ღელეები, გამაგრდება მათი ნაპირები.

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი იმ სამუშაოებისა, რომლის ნაწილი უკვე განხორციელდა ან მიმდინარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში. თუ ადრე უიდეო და უპერსპექტივო ადამიანები ებღაუჭებოდნენ თანამდებობებს, ისე მოდიოდნენ და შემდეგ ქრებოდნენ ორბიტიდან, რომ არანაირ კვალს არ ტოვებდნენ, დღეს გვაქვს სულ სხვა სურათი და მდგომარეობა: ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალგაზრდები, საქმისა და ადგილის დედის მოყვარულ თაობა. ეს მდგომარეობა შეუძლებელია, არ იწვევდეს კმაყოფილებას ჩვენში.

აღნიშვნის ღირსია სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. მათ შორის არიან: სს ,,არქეოპოლისი“ (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დემურ გადელია), შ.პ.ს „დაჯი“ (უფროსი დათო ადამია) და სხვები.

აქვე მკითხველს უნდა მოვახსენო სენაკის მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუნელებელი სურვილის შესახებ: უკვე წლებია, ვცდილობთ ქალაქის ცენტრში დაიდგას საქართველოს ერთიანობის მემორიალი, რომელშიც გასხივოსნდება ქუჯი ეგრისელისა და ფარნავაზ ქართლის მეფის წმინდა და სანუკვარი იდეა, რომლებმაც ეროვნული და მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნება გამოავლინეს და საფუძველი ჩაუყარეს პირველ ერთიან საქართველოს!

დღეს ქვეყანაში გვაქვს ჩვენი და დიდებული მეფეებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიუსტები, სხვადასხვა ომებში დაღუპულთა მემორიალები. მაგრამ არა გვაქვს შინაარსობრივად დატვირთული ყველაზე მთავარი, ყველაზე ნიშანდობლივი, ყველაზე წარმტაცი მოვლენის აღმნიშვნელი მემორიალი (ქართველთა ერთიანობის სიმბოლო), რომელსაც ინტელიგენციის საკმაო ნაწილი დიდი ხანია სამართლიანად ითხოვს. გადადგმულია პირველი ნაბიჯები. შექმნილია შესანიშნავი პროექტი, შერჩეულია მემორიალის აღმართვის ადგილი. მთავარია დაფინანსების წყაროს გამონახვა. ამ საქმეს ერთი რაიონი და ერთი სამხარეო ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა ხელისუფლების კეთილი ნება, მათი თანადგომა, რომ ბოლოსა და ბოლოს სისრულეში მოვიდეს ერის ისტორიის ბრწყინვალე მოვლენის ქანდაკებაში ხორცშესხმა.

გავაცოცხლოთ და წარმოვაჩინოთ ის მოვლენა, საიდანაც სათავეს იღებს ქართველთა ერთობის დიდებული ისტორია. მგონია, რომ აღნიშნული მემორიალი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული არქიტექტურის გალერეაში. ამ საქმეში სენაკის მერისა და მხარის გუბერნატორის ალექსანდრე გაწერელიას აქტიური თანადგომა გვჭირდება.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლისა და ალ. ყამბეგის პრემიების ლაურეატი.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის
მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის
ინსტიტუტი აცხადებს
ღია კონკურსს
შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

• **უფროსი ინჟინერი** - 2 (არასრული 0,5) საშტატო ერთეული (სტრუქტურული ანალიზის ჯგუფში);

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ — ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. #10, ოთახი #315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2020 წლის 13 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები იხილეთ ინსტიტუტის ვებ.გვერდზე (www.mmi.ge)

მოვაჭრეები გათავისუფლდებიან იჯარის გადასახადისგან

აჭარის მთავრობის დღევანდელი გადაწყვეტილებით იჯარის გადასახადისგან ხუთი თვის ვადით ბათუმის ცენტრალური, ე.წ. „ხოფის ბაზრობის“ 1 400-ზე მეტი მოვაჭრე გათავისუფლდა.

გადაწყვეტილების შესახებ მთავრობის თავმჯდომარემ მოიჯარეებს პირადად აცნობა. თორნიკე რიჟვაძე გუშინ მოვაჭრეებს შეხვდა. მისი განცხადებით, ერთობლივი ძალებით უნდა მოხდეს ბრძოლა ეკონომიკურ კრიზისთან და კრიზისით გამოწვეულ შედეგებთან, რათა მაქსიმალურად მოხდეს მოქალაქეების დახმარება.

„ე.წ. „ხოფის ბაზრობის“ მოვაჭრეები გათავისუფლებული იქნებიან ძირითადი საიჯარო გადასახადისგან. ასევე, ჩვენ მოვახდინეთ შესაბამისი კომუნიკაცია კერძო სავაჭრო ობიექტებთან და მათმა მესაკუთრეებმაც გამოხატეს მზადყოფნა, გაავრცელონ შესაბამისი შეღავათები იქ მომუშავე ადამიანებზე. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ახლა არ არის დრო, გავზარდოთ გადასახადები. გადასახადების თვითნებურად გაზრდის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება მოხდება“, — განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

როგორ ძარცვავდა რუსული ფირმის გენერალური დირექტორი სამარხებს

რუსეთის ფედერაციიდან ცხინვალში ჩასული ცოლ-ქმარი დილით ადრე ჯავის გზას დაადგა. მანქანაში მეტალოდეტექტორი, ნიჩბები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები უკვე ჩალაგებული ჰქონდათ. წინასწარ მოლაპარაკებულ რამდენიმე მუშას გზად გაუარეს და ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე გავიდნენ. გუფთის ხიდიდან ხელმარცხნივ კვაისა-ონის გზაზე გადაუხვიეს და სოფელ სარიტათის მიადგნენ. სოფლის ძველ ეკლესიასთან გაჩერდნენ. ქმარმა მანქანიდან ნიჩბები გადმოიღო და მუშებს დაურიგა, თვითონ კი ცოლთან ერთად მეტალოდეტექტორით ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველ საფლავებთან ნელა დაიწყო მოძრაობა. დეტექტორის სიგნალის შესაბამისად ტერიტორიას ნიშნავდა და მუშებს ავალებდა, რომ მონიშნული ადგილები გაეთხარათ. „განძის მაძიებლები“ დიდხანს მუშაობდნენ. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია სულ გადათხარეს. ეს ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დაინახა, საეჭვოდ მიიჩნია და პროკურატურაში დარეკა.

„შავი არქეოლოგები“ მილიციელებმა დააკავეს, ნივთმტკიცებები ამოიღეს. მუშები წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, რუსეთის მოქალაქე ცოლ-ქმარი კი დე ფაქტო რესპუბლიკაში რუსეთის საელჩოში ელჩ მარატ კულახმეტოვთან გასაუბრებაზე მიიწვიეს. ახსნა-განმარტების შემდეგ ისინი გაუშვეს.

ვინ არის რომან კოვრიგა?

მუშების დაკავებამ და რუსეთის მოქალაქე ცოლ-ქმრის გაშვებამ ცხინვალში დიდი მღელვარება გამოიწვია. ცოლ-ქმრის ვინაობას სამართალდამცავები მალავდნენ და ადგილობრივ მედიაშიც მხოლოდ მოკლე ცნობები გადიოდა უკანონო არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ჩვენი წყარო ცხინვალიდან, სამოქალაქო აქტივისტი, გვატყობინებს, რომ განძის მაძიებლების ვინაობა საბოლოოდ მაინც გაირკვა.

„რომან კოვრიგა ცხინვალში მობილური კომპანია „მეგაფონის“ (რუსეთის მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანია, რომელიც დე ფაქტო რესპუბლიკაში „მეგაფონ-სამხრეთ ოსეთის“ სახელით მუშაობს) გენერალური დირექტორია. ის კომპანიის გენდირექტორად მოსკოვიდან დაინიშნა და აქ, ცხინვალში, ცოლთან ერთად ცხოვრობს. სარიტათის ეკლესია სამხრეთ ოსეთის კულტურული მემკვიდრეობის რეესტრშია შეტანილი და ეს კაცი ამ ეკლესიასთან უკანონო არქეოლოგიით იყო დაკავებული. მთელმა ცხინვალმა იცის ეს ფაქტი. ეს არის ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის უპატივცემულობა და ის უნდა დაისაჯოს. აუცილებელია გაიჩხრიკოს მისი სახლი მოსკოვში, დარწმუნებული ვართ, რომ სამხრეთ ოსეთიდან გატანილი არაერთი ისტორიული არტეფაქტი აღმოჩნდება მის ბინაში. როგორც ჩანს, მას კომპანიაში დანიშნული ძალიან მაღალი ხელფასი არ ჰყოფნიდა და ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის გაყიდვითაც დაიწყო ხელის მოთბობა. გავლენიანი კაცია, ბიბილოვთან დაახლოებული, და, აბა, მის დაკავებას ვინ გაბედავდა“, – ამბობს იგი.

რომან ვასილის ძე კოვრიგა კრასნოდარის მხარეში დაიბადა. იქვე დაამთავრა სკოლა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს უნივერსიტეტის კრასნოდარის ფილიალი. ახლა ის წარმოადგენს იმ კომპანიას, რომელიც არღვევს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და უკანონო ბიზნესსაქმიანობას ეწევა ცხინვალის რეგიონში.

დე ფაქტო რესპუბლიკის სამართალდამცავები არ ამბობენ, ეს კოვრიგას შავი არქეოლოგიით დაინტერესების პირველი შემთხვევა იყო, თუ ეს საქმე დიდი ხნის წინათ წამოიწყო.

სოციალურ ქსელში სულ უფრო მეტი ადამიანი წერს იმის შესახებ, რომ ეკლესია-მონასტრებთან გადათხრილი ტერიტორიები უნახავთ. იქვე არაერთი კომენტატორი მოითხოვს, რომ კოვრიგა და მისი ცოლი ე.წ. რესპუბლიკის ტერიტორიიდან გააძევონ მაინც, თუ მათ დაკავებას არ აპირებენ.

ამ რეზონანსულ საქმეს დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტში საკომიტეტო მოსმენა მოჰყვა, სადაც ეროვნული პოლიტიკის, კულტურის, რელიგიისა და მედიის კომიტეტის სხდომაზე დე ფაქტო რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ურუზმაგ ჯაგაევი და კულტურის მინისტრი ჟანა ზასეევა მიიწვიეს. პროკურორმა თქვა, რომ საქმე ძიებაშია და რუსეთის მოქალაქეები სამხრეთ ოსეთიდან გაუსვლელობის ხელწერილით არიან გათავისუფლებულები.

კოვრიგასა და მისი მეუღლის მიმართ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხი საგამოძიებო ორგანოების პრეროგატივაა. ყველაზე სერიოზული მუხლი, რაც მათ შეიძლება წაუყენონ, არქეოლოგიური ნივთების უკანონო მოპოვებაა. დანაშაული ითვალისწინებს სასჯელს – 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას 1 მილიონ რუბლამდე (დაახლოებით, 50 ათასი ლარი).

„დიდი ხანია, ვითხოვ, რომ რელიგიურ და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სახელმწიფო დაცვის წარმომადგენლები დავაყენოთ არა მარტო ძეგლების დასაცავად, არამედ იქ წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ გამოდის, ამიტომ ისღა დაგვრჩენია, რომ სოფლებში ადმინსტრაციების წარმომადგენლებს ვთხოვოთ, ყურადღებით იყვნენ და თითოეული ინციდენტის შესახებ შეგვატყობინონ“, – დე ფაქტო კულტურის მინისტრი ჟანა ზასეევა ასე გამოეხმაურა მომხდარს ადგილობრივი ტელევიზიით.

შავი თუ პოლიტიკური არქეოლოგია?

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ძეგლები საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა, მაგრამ ქართველი ძეგლთა დამცველები ვერც აფხაზეთში შედიან და ვერც ცხინვალის რეგიონში, თუმცა იქ არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ფლობენ და საერთაშორისო ბერკეტებსაც იყენებენ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი ამბობს, რომ რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძეგლებთან მიმართებით ხდება, ვანდალიზმია.

„ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსულ-ოსური პოლიტიკური ტანდემი, ვითომ ძეგლების რეაბილიტაციის მოტივით, ფულს რეცხავს. ამის მაგალითია ახალგორის მუზეუმის გასაკეთებლად გამოყოფილი 4 მილიონი, რომელიც ისე გაქრა, რომ კაციშვილმა არაფერი იცის. იმ მუზეუმში არანაირი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო სრულიად უკანონოდ მიიჩნევს იმ სამუშაოებს, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ჩართულობა ნულია და, შესაბამისად, არცერთი პროექტი ჩვენთან შეთანხმებული არ არის. ერთადერთი ბერკეტი ის გვაქვს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მოვახდინოთ ზეწოლა ჩვენთვის, სხვა სიტყვა არ ჰქვია ამას, ვანდალურ აქტებზე, როგორი კეთილი განზრახვაც არ უნდა არსებობდეს იქითა მხრიდან, თუმცა არ მგონია, ფრესკების შეთეთრებაში კეთილი განზრახვა იყოს“.

დავით ლომიტაშვილი ფიქრობს, რომ დროთა განმავლობაში „შავ არქეოლოგიაზე უფრო საშიშად შესაძლოა პოლიტიკური არქეოლოგია იქცეს“ – რუსეთის ფედერაცია ყველა ბერკეტს იყენებს ისტორიული ფაქტების გასაყალბებლად.

შავი არქეოლოგიის დროს უკანონოდ მოპოვებული ნივთები და არტეფაქტები შავ ბაზარზე ხვდება და ამით რამდენიმე პირი სარგებლობს. ხოლო პოლიტიკური არქეოლოგიის მიზანია კულტურის თვალსაზრისით გეოპოლიტიკური არეალების გამიჯვნა, რაც რუსეთმა 90-იანი წლებიდან აფხაზეთის მიმართულებით ინტენსიურად დაიწყო. ლომიტაშვილს ახლა ყველაზე მეტად ეს უკონტროლო ვითარება აშფოთებს:

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სამარაოვნებიდან ამოაქვთ უნიკალური ქართული კულტურული მემკვიდრეობის მასალა, გადააქვთ ჩრდილოეთ კავკასიაში, იქ ფლავენ ნეიტრალურ ადგილებზე. შემდეგ რუსეთი უკვე აფინანსებს საერთაშორისო ექსპედიციებს, ჩამოჰყავთ ხალხი, ათხრევინებენ, მათ არ იციან, ამის ბეგრაუნდი რა არის, ხდება ამის ვითომ აღმოჩენები და ის საერთაშორისო ექსპედიციის წევრებიც ხელს აწერენ, რომ მათ კონკრეტულ ადგილზე აღმოაჩინეს კონკრეტული ნივთი. საბოლოო ჯამში, სტატისტიკა ჩვენს საზიანოდ კატასტროფულად იცვლება, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ამ მიმოქცევას და ამ ყველაფერს შავი არქეოლოგიით ნიღბავენ. ამ შემთხვევაში შავი არქეოლოგია ყველაზე მსუბუქი რამეა, აი, პოლიტიკური არქეოლოგია კი ბევრად უფრო მძიმეა ქვეყნის მომავლისთვის. საბოლოო ჯამში, ეს მასალა ისე დაგროვდება, რომ მერე იტყვიან: აი, თურმე ჩრდილოეთ ოსეთი და სამხრეთ ოსეთი ერთი პოლიტიკური ერთეული იყო და ქართველებმა როგორც აფხაზეთში, აქაც ოკუპაცია მოვახდინეთ სამხრეთ ოსეთის რეგიონისა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამას უნდა მიაქციონ ყურადღება. ეს რუსული დიპლომატიის გრძელვადიანი გეგმაა. ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ ვეღარავინ შეცვლის აღმოჩენის ტოპოგრაფიას და ყველა იტყვის, ეს ყველაფერი, აი, აქ ვიპოვეთ. ეს იქნება ყველაზე დამაზიანებელი ქართული მხარისათვის. გეოპოლიტიკური ერთეული ყველაზე მეტად იმ კულტურაზეა დაფუძნებული, რომელიც იმ რეგიონშია თავმოყრილი. არ მინდა, ცუდი წინასწარმეტყველი ვიყო, მაგრამ ასეთი რაღაცები ხდებოდა აფხაზეთში და მსგავსი ხელწერაა ცხინვალის რეგიონშიც“.

შავი არქეოლოგია და გლობალური ტერორიზმის საფრთხე

მანანა ვარძელაშვილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში საერთაშორისო და იუნესკოსთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს. სწორედ ეს სამსახური გზავნის განგაშის სიგნალებს საერთაშორისო ორგანიზაციებში. ეს სიგნალი კი ძირითადად ორი მიმართულებისაა: დაგვეხმარეთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში და დავიცვათ ერთმანეთი გლობალური ტერორისტული საფრთხისგან:

„ნებისმიერ ინფორმაციას, რასაც კი მოვიპოვებთ ოკუპირებული რეგიონებიდან, ოპერატიულად ვამზადებთ კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ამზადებენ განცხადებას. პირველ რიგში, ჩვენი მიზნობრივი ორგანიზაციაა იუნესკოს ოფისი, რომელსაც რამდენიმე კონვენცია აქვს, რომლებიც ამ საკითხებს ეხება და, პირველ რიგში, ეს არის ჰააგის კონვენცია საომარი მოქმედებების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცულობასთან დაკავშირებით, რომლის წევრებიც ვართ ჩვენ და, სამწუხაროდ, ოკუპანტი ქვეყანა, რუსეთი, არ არის ამ კონვენციის წევრი. საერთაშორისო თანამეგობრობას ჩვენ ყოველთვის ვაყენებთ საქმის კურსში და ვაცნობებთ ხოლმე მათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებული ძეგლების შესახებ. ევროსაბჭოს სხვადასხვა ფორმატებშიც აქტიურად მონაწილეობს საქართველო და ინფორმაცია მაქსიმალურად გაგვაქვს. სხვა ბერკეტები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ იმაზეც ვაპელირებთ, რომ უკანონო, შავი არქეოლოგიით მოპოვებული კულტურული ფასეულობების უკანონო ტრაფიკი არის წყარო ტერორისტებისთვის. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უკონტროლო ვითარება არა მხოლოდ ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას უქმნის საფრთხეს, ის გლობალური მშვიდობისთვისაც საფრთხეა, რადგან შავი ფული, რაც აქედან იშოვება, სავარაუდოდ და პოტენციურად, შესაძლოა იყოს გამოყენებული ტერორისტული მიზნებისთვის“.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა სავალალო მდგომარეობაშია, ამაზე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან პერიოდულად გავრცელებული ცნობებიც საკმარისია. მაგალითად, 5 წლის წინათ ცხინვალთან ახლოს ქართულ ისტორიულ ტაძარში, თირის მონასტერში, რუსული სამშენებლო კომპანიის მუშები შეუშვეს.

„მუშებმა ეკლესიის შიგნით ხარაჩოები აღმართეს და კედლებს ლესავენ. გადალესილია მე-15 საუკუნის ფრესკების ზედაპირიც. ერთი შეხედვით, ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ იმ ბრიგადების მშენებლებისგან, რომლებსაც სხვა ნებისმიერ სამშენებლო ობიექტებზე შეხვდებით“, – ეს სიტყვები მაშინ ცხინვალელმა ჟურნალისტმა დიანა კოზაევამ დაწერა. გაირკვა, რომ, საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, ეკლესია-მონასტრების შეკეთებაც ჩვეულებრივ სამშენებლო კომპანიებს დაავალეს. თირის მონასტერში კომპანია „უიუტი“ მუშაობდა. ჩვეულებრივმა მუშებმა კი კონსერვაციის ნაცვლად პირდაპირ ლესვა დაიწყეს. ამ ამბავს საერთაშორისო ხმაური მოჰყვა, სამუშაოები შეჩერდა, მაგრამ უნიკალური ფრესკები გადალესილი დარჩა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაცია ან შეგნებულად ანადგურებს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, ან მას საკუთარი სარგებლისთვის იყენებს. ცხინვალში კი ვარაუდობენ, რომ შავი არქეოლოგი, „მეგაფონის“ გავლენიანი გენერალური დირექტორი რომან კოვრიგა მფარველების წყალობით არ დაისჯება.

გოგა აფციაური

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ (დანართი №1)

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ საწვავის რაოდენობასა და საწვავის ტიპზე:

#	საწვავის დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)
	1	2
1	ბენზინი პრემიუმი (ოქტანობა – არანაკლებ 95)	24000
2	დიზელი (არაუმეტეს 50 PPM)	40000

- საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურებზე წარდგენილი სათანადო პლასტიკური ბარათების მეშვეობით.
- საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის გახსნის დღეს (2020 წლის 10 ივლისი) ,,პრეტენდენტის“ საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასზე შემოთავაზებული ფასდაკლების გათვალისწინებით. შეფასება განხორციელდება ჯამური ღირებულებების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გასაყიდი საწვავის ერთი ლიტრის ფასი განსაზღვრული იქნება შესაბამისი საწვავისთვის 2020 წლის განმავლობაში საწვავის შეკვეთის მომენტისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე არსებული ერთეულის (ერთი ლიტრი საწვავის) ფასს გამოკლებული შემოთავაზებული ფასდაკლება. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება იქნება 150,000.00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი.
- საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით, მათ შორის: დ.ღ.გ.-ს, საწვავის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის მიწოდების ხარჯების, პლასტიკური ბარათების დამზადება-მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ფაქტიურად საწვავის ჩატვირთვაზე შესაბამისი მიღებაჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება საერთო მოცულობის (სახელშეკრულებო რაოდენობის) არაუმეტეს 25%-ისა.

- პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არანაკლებ 10 ავტოგასამართი სადგური ქ. თბილისში, ავტოგასამართი სადგურები შემდეგ რეგიონებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე: ქვემო ქართლში (რუსთავი, მარნეული); სამეგრელო - (ზუგდიდი, სენაკი); იმერეთი - (ქუთაისი, ზესტაფონი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური); სამცხე ჯავახეთი (ახალციხე, ახალქალაქი).

- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირ ვაჭრობისას (,,შემდგომში– ბიჯი“) – 0.02 ლარი ერთ ლიტრ საწვავზე.

- საწვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO) ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) ან აშშ სტანდარტს (API) და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- საწვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 2% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს ,,ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის № T-01 G-01/2020.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2020 წლის 9 ივლისის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2020 წლის 10 ივლისის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2020 წლის 10 ივლისს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოადნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განეყოფილებების დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-01 G-01/2020.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში – ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს ,,ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე ,,შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

ტრაგედიამ მათქმევინა

ასადეთ ცხედარს გაცივება!

ჯერაც არ განელებულა 19 წლის გიორგი შაქარაშვილის დაკარგვით მოყენებული ტკივილი. იგი არა მარტო მშობლიური კლუბის, არამედ სრულიად საქართველოს მოუშუშებელი იარაა, თუმცა, იმის ნაცვლად, რომ ჭირისუფალს ჭრილობა შეძლებისდაგვარად დაუამონ, ზოგ-ზოგიერთები აუწონავი სიტყვებით კიდევ უფრო უმძიმებენ ისედაც გამწარებულ აწმყოს ჭაბუკის ოჯახსა და საზოგადოებას.

ამჯერად ერთ-ერთ ადვოკატს ვგულისხმობ, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და მისი დაცვის ქვეშ მყოფ შესაძლო დამნაშავეებზე საუბრისას ჟურნალისტებს რიხიანად, უფრო სწორად დაუნანებლად განუცხადა — ბიჭებს წინასწარი ორთვიანი პატიმრობის მისჯით კარიერა დაენგრათო.

დიახ, მაშინ, როცა სალსალამათი ყმაწვილი უკვდავების ბინადარი ხდება, განსაკუთრებით ამორალურად ჟღერს ვინმეს სპორტული მომავლის გაბუნდოვნებაზე წუწუნი — თვით „შაქარა“ ხომ არა მარტო პერსპექტივას, არამედ წუთისოფელს გამოეთხოვა!

არანაკლებ დამაფიქრებლად მესახება საბედისწერო ღამეს განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში მორაგბეთა განსაკუთრებულ როლზე ყურადღების გამახვილება და

გეტყვით, რატომაც. ჩვენში რატომღაც დამკვიდრებულია შეხედულება ამ სახეობის წარმომადგენელთა ლამის უმწიკვლოების თაობაზე (არცთუ უსაფუძვლოდ — საილუსტრაციოდ, მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ღამეს მათ მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობის დასახელება კმარა, როცა მომიტინგეებს გადაეფარნენ და არაერთი მათგანი იხსნეს დამრბევ გადამთიელთა ალესილი ნიჩბებისგან), მაგრამ არც მთლად მასეა საქმე. მართლაც, რატომ გვავიწყდება, რომ ისინიც ჩვეულებრივი ქართველნი არიან თავიანთი ღირსებებითა თუ ადამიანური სისუსტეებით?

დავიჯეროთ, აღარავის ახსოვს ქუთაისის „აიას“ საამაყო გუნდის თავს გადამხდარი გახმაურებული ისტორია, რომლის ნასვამი წევრებიც თვითმფრინავში მომხიბვლელი სტიუარდესასთვის სიყვარულის ახსნას ცოტა არ იყოს თამამად ცდილობდნენ; ან, თუნდაც, რამდენიმე თვის წინათ „ჯვაროსანთა“ ლიდერ მერაბ კვირიკაშვილის მონაწილეობით მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად ჩაფერფლილი ოთხი სიცოცხლე?!

და კიდევ — ჩვენ ხომ ყველაფერში მაქსიმალისტები ვართ და ამჯერადაც, ჯერაც გამოუძიებელი საქმის დეტალების დაზუსტებამდე, საინფორმაციო საშუალებები წავლეკეთ „ნახალოვკელობასა“ და „საბურთალოელობაზე“ აქცენტის გაკეთებით. უბნებს რაღას ვერჩით?

თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ სადა ვართ!

გია პლატონიშვილი

64

ნეტავ, ვინ მოდის მომავლიდან?!

ჩვენი ეროვნული ჭადრაკის საოცარ ფენომენს 2 ულამაზეს მწვერვალს ადარებენ — თეთნულდსა და მყინვარწვერს. ვგულისხმობთ ქართველ ქალ მოჭადრაკეებს, რომელთაგან ორი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია და საკომპოზიციო ხელოვნების ბრწყინვალე შემოქმედთ, რომლებიც საერთაშორისო კონკურსებში წარმატებით მონაწილეობენ.

ეს თვალნათლივ გამოჩნდა იმ ზღაპრულ სუფრასთან, რომელიც ევროპის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის, დიდოსტატ **ზურაბ აზმაიფარაშვილისა** და მონაკოს მთავრის თა-

ოსნობით გაიმართა. ღონისძიებას ქართულმა მხარემ შეასხა ფრთები. აჟღერდა ნიკოლოზ რაჭველის მიერ შექმნილი მსოფლიო საჭადრაკო ჰიმნი. — რას ვიფიქრებდი, ამბობს ნიკოლოზ რაჭველი, რომ ჩემს მიერ დაწერილი ნაწარმოები მსოფლიო საჭადრაკო ჰიმნად დამტკიცდებოდა. და მას ფეხზე ადგომით შეეგებებოდნენ ჩვენი პლანეტის ჭადრაკის აღიარებული ლეგენდები. სამახსოვრო საჩუქრები (12 ოქროს პაიკი) გადაეცათ მსოფლიო ხუთ-ხუთგზის ჩემპიონებს **ნონა გაფრინდაშვილსა** და **მაია ჩიბურდანიძეს,** იუდიტ პოლგარს, გარი კასპაროვს და სხვებს.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლში 2003 წელს ევროპის პირად პირველობაზე გამარჯვებული ზ. აზმაიფარაშვილი გარი კასპაროვის მწვრთნელ-სეკუნდანტი გახლდათ (1987-1994). მან 1983 წელს შესანიშნავ სტილში, შავი ფიგურებით, საბჭოთა კავშირის პირველობაზე დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი.

ქართველ მეცენატებს შორის გამორჩეულია **ანდრია დადიანი** (1860-1910). ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვილჰელმ სტეინიცის (1836-1900) წერილი:

„მსურს, გულითადი მადლობა მოგიძღვნათ, რაც ჩემი ჟურნალისათვის გაგიღიათ... მიიღეთ ჩემი უმაღლესი პატივისცემა“ (1896).

IX და X მსოფლიო ოლიმპიადებში გამარჯვებული საბჭოთა ნაკრები პირწმინდად ქართველი გოგონებით იყო დაკომპლექტებული.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ცნობილი ჟურნალისტის ალექსანდრე შენგელიას იმხანად შექმნილი ლექსის ამონარიდს:

„იბრწყინოს, იალმასოს“

ურჩევნია მამულსა
შვილი სჯობდეს მამასა,
შვილი ჯობდეს დედას და
ცეცხლად წამომნთებმა
საქართველოს ბეჭედში
იბრწყინოს, იალმასოს
ხან ნონამ, ხან მაიამ —
ბრილიანტის თვლებმა!

ამჟამად ნიჭიერი მომავალი თაობა ჭადრაკის საიდუმლოებებს ეუფლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, ახალდაარსებულ ნონას მშობლიური ზუგდიდის ჭადრაკის სასახლეში, საშუალო სკოლებში და ა. შ.

წარსულის შთამბეჭდავი მიღწევებით განებივრებული ჭადრაკის მოყვარულები თანამემამულეთაგან კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ველოდებით!

ნეტავ, ვინ მოდის მომავლიდან?!

თამაზ შენგელია

დავით გურგენიძე
„64“
1982 წ.



ყაიმი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ეტიუდების შედგენაში, საერთაშორისო დიდოსტატის (1989) დ. გურგენიძის ეს ეტიუდი მოყვანილია მისივე წიგნიდან „ქართველების პაწია ეტიუდები“.

1. ეc8!! a2 2. ეg8+ მფf3 3. ეg1 მფe3
4. ეa1! მფd3 5. მფf4 მფc3 6. მფe3 მფb2
7. მფd2 მფ:a1 8. მფ:c2 (მფc1) პატი

შენიშვნა: პარადოქსული პირველი სვლის გარეშე, ყველა დანარჩენი სვლა თეთრებისათვის წამგებიანია.

სანთელი



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კალმოსანთა ძველი გვარდიის ღირსეული წარმომადგენელი, ჩვენი ძვირფასი მეგობარი და კოლეგა

ავთანდილ გურასაშვილი

და თანაუგრძნობენ მის შვილებს, ცნობილ ჟურნალისტებს გურანდა და გიგა გურასაშვილებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში ცნობილი საკალათბურთო დინასტიის თავკაცს, ამაგდარ მწვრთნელს ნუგზარ მარკოიშვილს დედის

ლილი ნესტორის ასულ მარკოიშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის 126-ე საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მწუხარებაში თანაკლასელს ზაზა კობახიძეს მამის, საზვების დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლის

შალვა კობახიძის

გარდაცვალების გამო.

საჯარო გამოცხადება

მოქ. **ნუგზარ პაპუნიძის** მიმართვა მოქ. **ანატოლი სერგოს ძე ტურგენევს**

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 სექტემბერს ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიას დეპოზიტზე, თქვენს სასარგებლოდ განთავსდა თანხა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. თანხის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ მარიამ კვარაცხელიას სანოტარო ბიუროს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ., №10, ბ. №28.

ქართული მწერლობის ქომაგი სალიხ გურტუევი

დაიბადება ქვეყნის რჩეული ადამიანი და მას არსთაგამრიგე ნიჭთან ერთად სიყვარულის გასაოცარ უნარს აძლევს. ნიჭზე მეტად ეს სიყვარულია, ბედად თუ ბედისწერად რომ ექცევა ადამიანს, რომ არ ასვენებს და დღენიადაგ ამუშაკებს. ასეთი გაუნელებელი სიყვარულით ეტრფოდა საქართველოს ცნობილი ბალყარელი პოეტი, კავკასიის ღირსეული შვილი, არაერთი პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე **სალიხ გურტუევი.**

მთელი ცხოვრება ქართულ მწერლობას ემსახურებოდა, თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის უკვდავი პოემები, გამოსცა თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია. 6 კავკასიურ ენაზე

მაყვალა გონაშვილი, სალიხ გურტუევი

ათარგმნინა მეგობარ მწერლებს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ერთ წიგნად გამოსცა. საკუთარ, მშვენიერ პოეზიაზე მეტად უყვარდა ქართული კულტურა. როგორც პოეტი იტყოდა: „საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი“. ვერ ვიტყვი, ჩემმა ქვეყანამაც ისეთივე დიდი სიყვარულით უპასუხა-მეთქი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისთვის არც რუსთაველის პრემია აღირსეს და არც სახელმწიფო. ჩვენ ხომ ხშირად, ძლევამოსილი ქვეყნებიდან ჩამოსულ ქარიხვეტია მწერლებს, კარგადაც რომ არ იციან, რომელ ქვეყანას ესტუმრნენ, უფრო გავეგებით ფიანდაზად, ვიდრე ასეთი პატარა ქვეყნის შვილს (თავადაც პატარა ქვეყნის შვილები), თუნდაც მთელი ცხოვრება ჩვენს კულტურას ემსახუროს უანგაროდ. ბედნიერი ვარ, რომ მცირედი სიხარული მაინც მივანიჭე და მისი ლექსების კრებული გამოვეცი. ბედნიერი ვარ, რომ უკვე 40 წელია, მეგობრად კი არა, ღვიძლ დად მთვლიდა.

გაზაფხულზე მწერალთა კავშირი მსოფლიო ფესტივალისთვის ემზადებოდა, სამწუხაროდ, პანდემიამ ეს ღონისძიება მომავლისთვის გადაგვატანია. დავურეკე სალიხს, ფესტივალზე მოვიწვიე, გაიხარა, მითხრა — მართალია, გულის ოპერაციის მერე ცუდად ვარ, მაგრამ ისე მენატრება ჩემი საქართველო, უსათუოდ გეწვევით და თუნდაც სული მაგ წმინდა მიწაზე დავლიო, ბედნიერი ვიქნებიო. ეს ნატვრაც ვერ აუხდა. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია კავკასიელი ხალხისთვის. საქართველომ კი დაკარგა უანგარო, უერთგულესი მეგობარი და ქართული მწერლობის დიდი ქომაგი. სალიხ გურტუევის სიკვდილი ჩემთვისაც დიდი ტკივილია. ის იყო ჩემი უფროსი მეგობარი, ძვირფასი კოლეგა და მოსიყვარულე ძმა. გამიგია, იქ, სადაც დის ცრემლი დაეწვეთება, ბალახი არ ამოდისო. ასეთი წრფელი და მწველია ჩემი ცრემლი სალიხისადმი.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. მისი სახელი კი სამარადჟამოდ დარჩება ყველა იმ ქართველისთვის, ვინც იცის ლიტერატურის, ერთგულებისა და სიყვარულის ფასი.

მაყვალა გონაშვილი,
საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე

ცხოვრებისგან დამარცხებული სპასალარი



არიან მსახიობები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ეპოქას ქმნიან, მშობლიური თეატრისთვის ბურჯს წარმოადგენენ, ცხოვრებისეული პრინციპებითა და ცხოვრების წესით სამაგალითონი არიან. სწორედ ასეთი იყო **სერგო პაჭკორია** სოხუმის თეატრისთვის, უფრო კონკრეტულად სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისთვის, რომლის სცენაზეც თითქმის ნახევარი საუკუნე იღვაწა, 150-მდე როლი შეასრულა და, როგორც იტყვიან, ვალმოხდილი წავიდა სცენიდანაც და ცხოვრებიდანაც.

მქონდა ბედნიერება ამ ორმოციოდე წლის წინათ, მაშინ სტუდენტ ბიჭს, პირველად მეხილა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ეს დიდი მსახიობი სოხუმის თეატრის „ოქროს ხანის“ პერიოდში, როდესაც ზღვისპირელებმა დედაქალაქში რამდენიმე სპექტაკლი ჩამოიტანეს და გადამეტებულად არ ვიტყვი, რომ მართლაც მონუსხეს ქართული თეატრის მოყვარულნი თავიანთი შემოქმედებით. რამდენიმე დაუვიწყარი საღამო გავატარე დიდ შემოქმედთა ოსტატობით გაოცებულმა ყმაწვილმა მაშინ, სცენაზე კი თავიანთ სტიქიაში იყვნენ მიხეილ ჩუბინიძე, დიმა ჯაიანი, სერგო პაჭკორია, ვალერი არღვლიანი, ნოდარ ბექაური, გიორგი რატიანი და... ვინ ჩამოთვლის მართლაც უამრავ ვარსკვლავს. იმ დღიდან ჩემი დადშეზრდილის მანანა გორგიშელის წყალობით, რომელიც სერგო პაჭკორიასა და მისი უმშვენიერესი მეუღლის, ამავე თეატრის მსახიობის ლეილა კალანდიას ნათესავი გახლდათ, უფრო დავუახლოვდი ბატონ სერგოსა და მის ოჯახს, ბედნიერად ვთვლი თავს, რომ გავხდი დიდი მსახიობის უმცროსი მეგობარი. სწორედ სერგო პაჭკორიას წყალობით გაიღო ჩემთვის სოხუმის „თეატრის კარი“, არც ერთი პრემიერა არ გამომიტოვებია, ბევრი სპექტაკლის რეპეტიციებსაც დავსწრებივარ სოხუმში, როდესაც ისეთი დიდი რეჟისორები დგამდნენ სპექტაკლებს, როგორებიც გახლდნენ დოდო ალექსიძე, რობიკო სტურუა, გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანია და შემდგომ თეატრის თავკაცი დიმა ჯაიანი.

მეფე გიორგი — დიმა ჯაიანი,
ზვიად სპასალარი — სერგო პაჭკორია

პირველი სპექტაკლი, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში ვნახე სერგო პაჭკორიას მონაწილეობით, „დიდოსტატის მარჯვენა“ გახლდათ, მართლაც შეუდარებელი იყო ორი ოსტატის ტანდემი — დიმა ჯაიანის მეფე გიორგი და სერგო პაჭკორიას ზვიად სპასალარი. სწორედ სპასალარად დარჩა მთელი ცხოვრება სერგო, ბრძენი, ალალი, მკაცრი, ფეთქებადი, უსამართლობასთან მებრძოლი კაცი.

ერთხელ თბილისს შეფარებულ სოხუმის თეატრის მსახიობებს, დევნილადქცეულ თეატრს, რომელმაც ძმათამკვლელ ომში ათი მსახიობი დაკარგა, ბევრიც მშობლიური მიწის დარდს გადაჰყვა დევნილობაში, ჯანსუღ ჩარკვიანმა ასე მიმართა — „ამ უბედურ სამყაროში თქვენ მაინც ბედნიერები ხართ, რამეთუ გარდასახვის უნარი გაქვთ და ხანდახან ბედნიერ კაცსაც თამაშობთო“, ალბათ, მართალიც იყო, ბატონი ჯანსუღი, მაგრამ ჩემთვის, რომელიც ფეხდაფეხ დავსდევდი თეატრს სოხუმსა თუ თბილისში, კარგად ვხედავდი, რომ ორი თეატრი შეგვრჩა ხელში, პირველი სოხუმში — ამაყი, ძლიერი, მებრძოლი, რომელიც ეროვნულ საქმეს აკეთებდა დიდი ზეწოლის მიუხედავად და მეორე — ნაღალატევი, ფრთებშეკვეცილი, ცრემლიანი, გულგატეხილი, დევნილი. აკი ვთქვი, ბევრი დიდი მსახიობი შეიწირა ამ თავსმოხვეულმა ომმა სოხუმის თეატრიდან, კრწანისის ველზე დაცემული მაჩაბელას თეატრის მსახიობებივით.

სხვა იყო თბილისში ჩამოსული, სიკვდილის უღელტეხილზე ფეხით გადმოსული, დამცირებული, ნაღალატევი სპასალარი — სერგო პაჭკორია. ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს — აღარ იყო ის სილაღე, ფოლადი ხმაში, შემართება... თბილისში სხვა სერგო დადიოდა.

მჯერა, ქართული თეატრისა და კინოს მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება ამ დიდი მსახიობის მიერ შესრულებული როლები. დიდხანს ემახსოვრებათ საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენოსანი, სულით ხორცამდე ხელოვანი, ერთ-ერთი ბურჯი და მეციხოვნე სოხუმის თეატრისა, „ცხოვრებისგან დამარცხებული სპასალარი“ სერგო პაჭკორია.

მამუკა ვაშაკიძე

სანთელი

გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი

ნანა ღვინეფაძე

ქალბატონმა ნანამ დიდი წვლილი დასდო ქართულ ჟურნალისტიკას. მის კალამს ეკუთვნის ასობით რეცენზია ქართულ თეატრზე. ნანა ღვინეფაძეს წიგნისთვის „შარავანდედი“, რომელიც საქართველოში მე-11 არმიის შემოჭრას და ქვეყნის თავისუფლების სისხლში ჩახშობას, ცნობილი გმირი სტუდენტი-გოგონას მარო მაყაშვილის ცხოვრებას ეძღვნება, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ ნიკო ნიკოლაძის პრემია მიენიჭა.

ულამაზესი ქალბატონი ცნობილი მხატვრების მუზაც გახლდათ... მსუბუქი იყოს ქვეყნის ერთგული შვილისთვის ქართული მიწა.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი უსამძიმრებს კავშირის წევრს, ბატონ დათო ღვინეფაძეს დის, შესანიშნავი ქალბატონის

ნანა ღვინეფაძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიქობავას ქ. №42/5.

599 79-76-79;
568 82-09-84

გილოცავთ, კოლეგებო!

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და პროფესიაში მრავაწლიანი და ღირსეული მოღვაწეობისთვის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, საქართველის დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭათ: **რუსუდან ლორთქიფანიძეს, თამაზ ჭეიშვილს და სერგო ჯანაშიას.** ვულოცავთ მათ ამ დიდ აღიარებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს...

„ჩვენ ვარსებობთ ტურიზმით!“

„ჩვენ ვარსებობთ ტურიზმით“ — ამ დევიზით რიყის პარკში გუშინ გიდების აქცია-ფლეშმობი გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ფერადი ქოლგები მიიტანეს და ამ ფორმით გამოეხმაურნენ უნგრელი კოლეგების ფლეშმობს, რომლებიც ბუდაპეშტის ცენტრში შეიკრიბნენ და ტურიზმის სიმბოლური აქციით გამოცოცხლება გადაწყვიტეს.

რიყის პარკში შეკრებილები ამბობდნენ, რომ ქოლგა მათი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია და სწორედ ფერადი ქოლგების საშუალებით უტურისტოდ დარჩენილ ქალაქს ხალისს შემატებენ. გიდები რიყის პარკში თანამოქალაქეებისა და ქალაქის სტუმრების შეკრებას ელოდნენ, რის შემდგომაც მათთვის დედაქალაქში უფასო ტურს მოაწყობენ.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ტურიზმის შეჩერებამ უამრავი პროფესიონალი და მათი ოჯახები გაურკვეველი ვადით დატოვა შემოსავლების გარეშე. გიდების თქმით, მათმა ნაწილმა მიიღო უმუშევრად დარჩენილი თვითდასაქმებულისა და დაქირავებით დასაქმებულისთვის მთავრობის მიერ განსაზღვრული თანხა.

მსგავსი პერფორმანსი თბილისის გარდა ქუთაისსა და ბათუმშიც გაიმართა.

სანაპირო ზოლს სეზონურ მაშველთა გაზრდილი რაოდენობა გააკონტროლებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 2020 წლის საზღვაო სეზონს სიახლეებით ხვდება.

შავი ზღვის სანაპირო ზოლს სეზონურ მაშველთა გაზრდილი რაოდენობა გააკონტროლებს. მოქალაქეთა უსაფრთხო დასვენებაზე 355 მაშველი, მათ შორის 15 გოგო მაშველი იზრუნებს. თითოეული მათგანი განახლებული უნიფორმით იმუშავებს და ევროპული სტანდარტის შესაბამისად იქნება აღჭურვილი.

აჭარის, გურიის და სამეგრელოს რეგიონების ტერიტორიაზე, ასევე, მობილიზებული იქნება 6 კატარღა, 7 ნავი და 27 სკუტერი. პროცესში ჩაერთვება 1 სამაშველო და 3 სადაზვერვო დრონი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე უკვე განაახლა და დაამატა სამაშველო კოშკურები, რომელთა რაოდენობა სულ 108 იქნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ, დაემორჩილოთ მაშველთა მითითებებს, არ იცურაოთ აკრძალულ ზონებში, არ შეხვიდეთ ზღვაში შტორმის დროს. შეგახსენებთ, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში და ნაბახუსევზე ცურვა კატეგორიულად აკრძალულია.

ფილმი კორონავირუსის პანდემიაზე

კინოკომპანია SK Global Entertainment-ი კორონავირუსის პანდემიაზე ფილმს გადაიღებს.

ფილმის სცენარზე ჩარლზ რედფოლდი მუშაობს. **„ის, თუ როგორ გავრცელდა ღამურებიანი გამოქვაბულიდან უჰანში ვირუსი არის საკითხი, რომელზეც, ალბათ, პასუხი დიდი ხნის განმავლობაში არ გვექნება. ეს იქნება უფრო სამედიცინო დრამა, ვიდრე ტრილერი პანდემიაზე. ერთია ის, თუ როგორ ებრძოლო ურჩხულს, მეორე კი ის, თუ როგორ ებრძოლო მას სიბნელეში,“** — აცხადებს სცენარისტი.

ფილმის გადაღებები ჩინეთში, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან დაიწყება.

მაიკლ ჯექსონის NEVERLAND-ს დანგრევა ემუქრება

პოპის მეფის მაიკლ ჯექსონის კუთვნილი მამული Neverland-ი აშშ-ში კალიფორნიის შტატში მდებარეობს. ჯექსონი აქ 15 წელი, გარდაცვალებამდე (2009 წელი) ცხოვრობდა. ადრე მამულს Sycamore Valley Ranch ერქვა, თუმცა პოპ-მუსიკის მეფემ მისი საყვარელი გმირის პიტერ პენის საპატივცემულოდ სახელი შეუცვალა.

Neverland-ი 1982 წელს აშენდა. მამულში არის 6 საძინებელი, აუზი, ბაღები და ზოოპარკი. მამულის ტერიტორიაზე არის ტბა, სამი სასტუმრო სახლი და მშვენიერი ხედი მთების პეიზაჟით. ჯექსონმა ეს ადგილი 1988 წელს იყიდა. შესყიდვის თანხა 419,5-დან 430 მილიონამდეა.

2003 წელს მომღერალი პედოფილიაში დაადანაშაულეს. სახლი ჯექსონის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ გასაყიდად გამოიტანეს. 2019 წელს Neverland-ი 431 მილიონად იყო შეფასებული. თუმცა გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. რეალტორები აცხადებენ, რომ თუ მამული არ გაიყიდა, მაშინ Neverland-ი შესაძლოა, დაინგრეს.

ყოფილ პრემიერს თავისუფლება აღუკვეთეს

პარიზის სასამართლომ საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მემარჯვენეებისა და ცენტრისტების საპრეზიდენტო კანდიდატს ფრანსუა ფიიონს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბიუჯეტის თანხების მითვისების გამო.

აღსანიშნავია, რომ ფრანსუა ფიიონთან ერთად დამნაშავედ მისი მეუღლე პენელოპა ფიიონიც ცნეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფრანსუა ფიიონს ციხეში 2 წლის გატარება მოუწევს. ის ასევე გადაიხდის 375 000 ევროს ოდენობის ჯარიმას და 10 წლის განმავლობაში არჩევით თანამდებობებს ვერ დაიკავებს.

რაც შეეხება მის მეუღლეს, სასამართლომ მას 3 წლით თავისუფლების პირობითად აღკვეთა მიუსაჯა. 2018 წლის 22 ივნისს ფრანსუა ფიიონსა და მის მეუღლეს გამოძიებამ ბიუჯეტის თანხების მითვისებაში ბრალი წაუყენა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0552; ევრო - 3.4466;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7671;
100 რუბლი - 4.3705; თურქული ლირა - 0.4457;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7972;
1000 სომხური დრამი - 6.3468.

ამინდი 1 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge